პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 202 (19943) ოთხშაბათი, 2 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## ვინ ჩამორჩა, ვინ წარმოჩინდა?

დაიწყო მიმდინარე წლის მესამე კვარტალის დამამთავრებელი თვე — სექტემბერი. პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვროს, როგორი საფუძველი შევქმენით მეოთხე კვარტალისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის წარმატებული დამთავრებისათვის, გამოაჩინოს ვინ ვერ შეძლო წლის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენის დაძლევა და ვინ წაიწია წინ.

ჯერჯერობით რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს არ დაუთავრებია სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში, აგრეთვე მშენებლობაში მიმდინარე მუშაობის რვა თვის შედეგების მთლიანი შეჯამება, მაგრამ ზოგიერთი იმ მაჩვენებლის შესახებ, რომელნიც „ამინდს“ ქმნიან ჩვენს ეკონომიკაში, უკვე შეიძლება ლაპარაკი.

მათ შორის არის თბილისის „ელმავალმშენებელის“ საწარმოო გაერთიანება. სამწუხაროდ, ეს გაერთიანება კვლავ ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ელმავლების გამოშვების გეგმის შესრულებას ძალიან ბევრი დააკლდა. თავისთავად ცხადია, რომ ვერ შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალება, დაირღვა სახელშეკრულებო დისციპლინა. ასეთი ვითარებას თუ ირკვეტყში „გაქვავებულ“ იმ „გოლიათებსაც“ მივუმატებთ, რომლებზეც გაზეთი „გუდოკუნში“ ახლახან გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში იყო ლაპარაკი, გასაგები გახდება, რა მდგომარეობაშია ელმავალმშენებელთა კოლექტივი, როგორი საფრთხის წინაშეა წლიური გეგმის შესრულება.

ჩამორჩენის მიზეზი, როგორც ეს გაერთიანების პარტკომის მდივანმა გ. დოლიძემ გვაცნობა, ელმავლის ნაწილების მომწოდებელი ქარხნის გაუმართავი მუშაობაა. ნოვოჩერკასკის მონაცემებისაგან საწარმო ვერ გზავნის მიწოდების ვალდებულებით ნავარაუდევ გოგორწყვილებს და სისტემატურად აღალატებს შემკვეთს.

აი, სად იჩინა თავი იმ ფაქტმა, რომ თბილისი დროზე ვერ შესრულდა გაერთიანების ბენერალური რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოები. აქ ხომ ელმავლის საეკიპაჟო ნაწილებსა და მათ შორის გოგორწყვილებსაც დაამზადებდნენ, როგორც ეს გაერთიანების განახლების გეგმით არის ნავარაუდევი. მაშინ ქართული ელმავალი მთლიანი ტექნოლოგიური ციკლით ადგილზევე შეიკვრებოდა და სხვისი მოიმედეობით აღარ ვიცხოვრებდით.

26 აგვისტოს გამართულ გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გადაწყდა, რომ საეკიპაჟო ნაწილების წარმოების ბაზა 1988 წლის დამლევისათვის კი არა, ერთი წლით ადრე შესრულდება. თუ ეს გადაწყვეტილება შესრულდა, ამას რა აჯობებს, მაგრამ მიმდინარე წლის დავალებებს რა ეშველება?

ჩვენ უკვე წლების მანძილზე შევეჩვიეთ თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების გაუმართავ მუშაობას, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე, ნუთუ „სამუდამოდ“ მოიქცა იგი ჩიხში? არის შემთხვევა, როცა რომელიმე საწარმო, მაგალითად, 99,9 პროცენტით ასრულებს გეგმას და ასეთ შემთხვევაში რაიმე პრინციპული მიზეზი შეიძლება საპატიოდაც ჩითვალო. მაგრამ, როცა დავალება მხოლოდ 84,6 პროცენტით სრულდება, ეს საგანგებო შემთხვევაა. კიდევ უფრო უარესია ის, რომ 30 პროცენტი დააკლდა რეალიზაციის გეგმის შესრულებას და ვინ იცის, რამდენი მომხმარებელი დაღალატდა, რამდენ შემკვეთს გაუცრუვდა საკუთარი სახელმწიფო გეგმის შესრულების იმედი!

მიზეზი? მიზეზი, როგორც ქარხანაში მიაჩნიათ, არარეალური გეგმაა. მარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობის ზრდის გეგმა არნახულად გაიზარდა. დიახ, წლების მანძილზე ისედაც ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ საწარმოს ერთი ხელის დაკვრით გაუდიდეს დავალება. ამბობენ, ახალი ტექნიკა, რომელიც აქ მიიღეს და მის დანერგვას აპირებენ, საქმეს მაინცდამაინც ვერ წაადგებაო.

ახეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა საკავშირო დაქვემდებარების მესამე დიდ საწარმოო გაერთიანებაშიც — „საელექტრომანქანაში“. აქ მართალია, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა შესრულდა, მაგრამ რად გინდა, თავი ვერ გაართვეს უმთავრეს მაჩვენებელს — ნაწარმის მიწოდების ვალდებულებას. ასეთი გარემოება პროდუქციის ხარისხს უკავშირდება. აქ დამზადებული ძრავების დიდი ნაწილი პროდუქციის სახელმწიფო მიღების ჯგუფამდე ვერც აღწევს. მას შემოწმების პირველ საფეხურზეკე იწვნებს ტექნიკური კონტროლის განაყოფილება. ის ფაქტი, რომ საუწყვეტო და არასაუწყვეტო კონტროლი შეთანხმებულად მუშაობენ, მისასალმებელია, მაგრამ რა ეშველება გაერთიანებას? არა აქვთ მარტო პირველ კვარტალში დაწუნებული პროდუქციის, ხოდაღი დანაკლისის დაფარვის იმედი. ადრე აქ ნედლეულისა და მასალების უქონლობას იმიზეზებდნენ, ახლა ეს საკითხიც მოგვარდა, მაგრამ საქმემ წინ მაინც ვერ წაიწია. ვერ იცავენ ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიურ რეჟიმს, ხუსტია საშემხრულებლო დისციპლინა, არც ინჟინერ-ტექნიკოსთა პოტენციური შესაძლებლობებია საკმარისი ჩავარდნიდან ამოსახსნელად.

ეკონომიკა ბარბაკმნის მთავარი სფერო და ეს კარგად შეიგრძნეს „ანალიზელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. ამას კი ხელი შეუწყო ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების შეთანხმებულმა მუშაობამ. მათ შეძლეს კოლექტივის დარაზმვა, შეძლეს, რომ თითოეული მუშაკი გაძლიერებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საქმეს, და მიზანსაც აღწევენ. აქ მთელი მონდომებით, საქმისადმი ხერხიოზული მიდგომით მოემზადნენ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში სამუშაოდ და ამიტომ დაბრკოლებებიც ნაკლები ხვდებათ. დიდი გადაჯარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის რვა თვის გეგმები.

ბაქრიანიძის კოლექტივის მიერ ამ პერიოდში დამზადებული პროდუქცია სახმიდებამ ასი პროცენტით ჩაიბარა. სხვათა შორის, ამ გაერთიანების შესახებ ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე. როგორც პლენუმზე აღინიშნა, თვითდაფინანსებაზე გადასვლას ფორმალური ხასიათი აქვს საფუძვლიანი ნორმირების გარეშე. ეს სამეურნეო ანგარიშის საფუძველია. სწორედ იმის წყალობით, რომ სრულყოფენ ნორმატიულ ბაზას, სამეურნეო ანგარიშის პირობებში საერთოდ წარმატებით მუშაობენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყო“ და სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის გაერთიანება. მათი გამოცოცხლება აქტიურად უნდა გავავრცელოთ. ჩვენი ეკონომიკური სამსახურები მეტისმეტად აჭიანურებენ სახელმწიფო შეკვეთებისა და სტაბილური ნორმატივების შემუშავებას და მათს გაცნობას საწარმოებისათვის, რომლებიც სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე გადაიყვანენ.

მომავალი წლის დამდეგიდან ყველა საწარმო მუშაობის ახალ პირობებზე გადადის და ძალიან გაუჭირდებათ იმათ, ვინც საამოსოდ არ მოემზადა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ სტატისტიკურ სამმართველოს ჯერ არ დაუმთავრებია რვა თვის შედეგების შეჯამება. თუმცა ვარაუდობენ, ვიმეორებთ — ვარაუდობენ, რომ მრეწველობის წარმოების მოცულობის ზრდის მაჩვენებელი 102,8 პროცენტს მიაღწევს, რაც მიმდინარე წლის გეგმას ერთი პროცენტით აღემატება. ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი რომ შემცირებულიყო, შედეგი უკეთესი იქნებოდა.

წლის დასთავრებამდე კიდევ ოთხი თვეა. ეს საკმაოდ დიდი დრო, რომ განეახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებისათვის. ყველაფერზე უკეთესი, რაც ჩვენ კარზე მოდგება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს შეიძლება მივუძღვნათ — ეს ჩამორჩენის დაძლევა, ნაკლის ვალდებულებათა დროული შესრულება, ახალი ზღუდეების დაკერება იქნება. ეს თარიღი განსაკუთრებული მოვლენაა მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში და მისი ღირსებულად, დამჯერებელი შრომითი შედეგებით აღნიშნა უაღრესად საპატიო, საპრესტიჟო საქმეა.

**შ. ამაშუკელი,**

გაზეთი „კომუნისტის“ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილების გამგე.

## 70

## გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

**ყოველი** დღე გვიახლოებს დიდი ოქტომბრის იუბილეს. რესპუბლიკის მშრომელები გაორკეცებული ენერგიით იღვწიან, რათა პირშეურცხვენელნი და სიტყვაგაუტეხელნი შეხვდნენ წლის უმთავრეს თარიღს.

### მთელი ორი თვით ადრე

**რაიონის** მშრომელებმა, ნათქვამია გულრიფშიდან გუშინ მიღებულ ცნობაში, არაერთი წარმატება იზეიმეს წლეულს. თითქმის ყველა სამუშაო გრაფიკის გასწრებით სრულდება. პირველი გამარჯვება შეაბრეშუმეებმა იზეიმეს, რომლებმაც 254-ის ნაცვლად 285 ცენტნერზე მეტი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს დედა-სამშობლოს.

ამჯერად კი მეცხოველეებმა თქვეს თავიანთი სიტყვა — ვადამდე, მთელი ორი თვით ადრე და გადაჭარბებით შესრულეს სამივე კვარტალის დავალება და გეგმით გათვალისწინებული 15.980-ის ნაცვლად 17.470 ცენტნერი რძე, რაც დავალების 106 პროცენტს შეადგენს (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 2.183 ცენტნერით მეტი) მიჰყიდეს სახელმწიფოს.

### გეგმა—ვადამდე

**სოხუმის** ქიმიური ქარხნის კოლექტივმა ვადამდე — 20 აგვისტოსათვის შეასრულა წლევანდელი 8 თვის დავალება.

საგეგმო 6.664 ათასის ნაცვლად გამოშვებულია 7.400 ათასი მანეთის ნაწარმი. გაუმჯობესდა ხარისხი, საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც.

წარმატების თავიდათავი შრომის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, ორგანიზებულობა და დისციპლინის განმტკიცებაა. ყურადღება ექცევა ქარხნის რეკონსტრუქციისა და ნაწარმის ნომენკლატურის განახლებას. დღეისათვის საწარმო 40-მდე სახეობის პროდუქციას უშვებს. მალე ეს მაჩვენებელიც გაიზრდება. უკვე შექმნილია და მომხმარებელი მიიღებს ახალი სახეობის კიდევ ორ ნაწარმს.

ნაყოფიერი გარჯითა და კარგი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან პოლეეთილენის პარკისა და ზეთოვანი საღებავების უბნების მშრომელები.

### დევიზით—რაოდენობაც, ხარისხიც!

**თერჯოლის** რაიონის სოფელ ბარდუბნის კოლმეურნეობამ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია, რაიონში პირველმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. 9 ჰექტარი ჩაის ფართობიდან საგეგმო 50 ტონის ნაცვლად მოკრიფა 51 ტონაზე მეტი. სეზონის ბოლოსათვის აქაურ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ გეგმის გადამეტებით 20 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფონ.

**სურათზე:** ნანა კლდიაშვილი. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა აქ სამუშაოდ, გაერთიანებულია აჯარულ ბრიგადაში, არჩეულია კოლმეურნეობის კომკავშირის მდივნად. ბრიგადას ნაცვლად 22 ტონისა 25 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი აქვს მოკრეფილი. ნანა მუშაობს დევიზით — რაოდენობაც, ხარისხიც!

**გ. გაბუნიას ფოტო.**

## გზა მშვიდობისა, სწავლის მძებნელო!

**შემოდგომის მიჯნაზე ვხვდებით ამ განსაკუთრებულ დღეს, რომელსაც ცოდნის დღესასწაული ეწოდება. იგი ახლობელია ყველა თაობის ადამიანებისათვის. ხარატი და კოსმონავტი, ექიმი და მხვნელ-მთესველი, აკადემიკოსი და მშენებელი — ყველანი სკოლის აღზრდილები არიან. გაკვეთილებზე მჩქეფარე პიონერული და კომკავშირული საქმეების დროს ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი: იბრდება ადამიანი, ყალიბდება მისი ხასიათი. მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭზე, ინტელექტზე და ამაღლებულ სულზე დამოკიდებულია ნორჩთა ბედის ჩამოყალიბება, საშობლოს მოამავალი.**

... ქალაქი, როგორც დღესასწაულის წინ არის ხოლმე მიღებული, ყვავილებითა და წითელი ალმებით მოურთავთ. იგი ყოველთვის ახალია თავისი ახალშენებლობებით. მაგრამ არის განსაკუთრებული საპატიო მშენებლობანი. საკმარისია გლდანის ცენტრალური მაგისტრალიდან მარცხნივ გაუხვიო, „გლდანელას“ მაჩვენებელს მიჰყვე და მაშინვე მიადგები ოთხსართულიან შენობას. ზორდან იგი ქათქათა ფრაგატს მოგვაგონებს. ქარი აფრიალებს წითელ დროშებს. ყველაფერი ახალია — მერხებიც, მაგიდებიც და დაზგებიც. შემინული დერეფნით მოხვდები კულტურულ-სპორტულ ცენტრში: საკმაო და სპორტულ დარბაზებში, დახურულ აუზში, ნათელ სასადილოში. სკოლა 1256 მოსწავლისათვის არის აგებული. დღეს 800 მოსწავლეს უმასპინძლებს. მაგრამ გლდანელა იზრდება. სკოლამაც გაითვალისწინა ეს ზრდა. სულ ორიოდე ნაბიჯზე საბავშვო ბაღია. აქ ექვსი წლის ბავშვები ისწავლიან პირველ კლასში. მათ განკარგულებაშია სათამაშო მოედანი და საძიერე კორპუსები.

დილიდანვე ჟინჟღლავდა, მაგრამ დღესასწაულისა და ცოდნის მსურველთა რა შეაჩერებდა?! ყველგან ყვავილები ჩანდა. დღეს თავის მოვალეობას პირველად შეუდგა ოცდაათი წლის დირექტორი თენგიზ გუდაძე. მას უკვე აქვს პედაგოგისა და სკოლის ინსპექტორის მუშაობის გამოცდილება, ახლა კი დამოუკიდებელი და პასუხსაგები სამუშაო მიანდეს. პირველად შევიდა კლასში თელავის პედინსტიტუტის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვანო ბერიტაშვილი. პირველად გადაამჯეს სკოლის ზღურბლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქიმიის მასწავლებელი ბელა ხაბელოვა...

თბილისის ნუკუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონში მდებარე №6 სკოლაში დღეს ათი მეცნიერებათა კანდიდატი მოვიდა. ამ სკოლას, სიახლის მიუხედავად, უკვე თავისი ისტორია აქვს. უკვე რამდენმე წელია თავისი საქმის ენთუზიასტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე გ. რამიშვილი და მისი თანამოსაქმენი უძღვებიან მეცადინეობას გერმანული ენის გაღრმავებული შესწავლისათვის. საგულისხმოა, რომ გერმანულ ენას ასწავლიან ბერლინის, იენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. ახლახან იენიდან დაბრუნდა ვ. დვალიშვილი, რომელსაც მაშინვე ჩაბარეს ნორჩი ცვლა. სკოლა მუშაობდა, მასში მოხვედრა ბევრს სურდა, მაგრამ თავისი შენობა არა ჰქონია. და აი, ახლა ახალი შენობა მიიღო ერთბაშად ათასმა მოსწავლემ. სპეციალურად აღჭურვილ კლასებში, რომლებშიც ენას ისწავლიან 10-12-კაციანი ჯგუფები, არის ლინგაფონის კაბინეტი, კომპიუტერები — ყველაფერი ბავშვების განკარგულებაში: ოღონდ ისწავლე, დაეუფლე ცოდნას. კიდევ ორი ახალი სკოლა გაიხსნა ვარკეთილის მიკრორაიონში.

მოირთო და განახლდა ძველი სკოლებიც. ბევრ მათგანს, მაგალითად, 30-ე, 50-ე, 57-ე, 108-ე და სხვა სკოლებს დამატებით აუშენეს ახალი სასწავლო კორპუსები, სადაც შეიძლება მეცადინეობა, კლასგარეშე მუშაობის ფართოდ გაშლა. მაგრამ სადაც უნდა გამართულიყო პირველი გაკვეთილი — ახალ თუ განახლებულ, ქალაქის თუ სოფლის სკოლაში, თუმა ერთი იყო: მშვიდობა. ამ დღეს მოსწავლეებმა დაწერეს თხზულებანი: „რატომ ვიბრძვი მშვიდობისათვის“, „მშვიდობა მსოფლიოს ყველა ადამიანის ოცნებაა“, „მშვიდობა მსოფლიოს ალტერნატივაა“.

პირველ სექტემბერს თბილისის სკოლების ბევრი პირველკლასელი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში შეხვდა. გულისფანცქალით, სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ ისინი მუზეუმის ფილიალის დირექტორის ფ. მახარაძის საუბარს დიდი ბელადის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ.

ფოთხილად მიდიან მერხთან, რომელზეც ვ. ი. ლენინი იჯდა, როცა სამბრისკის გიმნაზიის მეშვიდე კლასში სწავლობდა. აქ ხდება მათი მოსწავლეებად „კურთხევა“. სათუთად ეხებიან მერხს, ექსპონატებს, რომელთაგან თითოეული ჩვენთვის რელიკვიაა. ბავშვები ჩუმად არიან. ეს სიჩუმე სიტყვებზე მეტად ამბობს, რომ ნამდვილი კონტაქტია დამყარებული.

ამ დღეს ყველა სკოლაში გაიმართა მშვიდობის გაკვეთილები. და ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი ამ დღეს უფროსებს მოზარდი თაობისათვის. ჩვენი ხალხის მიერ ასეთ ფასად მოპოვებული მშვიდობა ძვირფასია მისთვისაც, იგი უფრთხილდება მას, განამტკიცებს თავისი შრომით, მუდმივი ბრძოლით, ზრუნვით. ეს იყო მშვიდობის გაკვეთილები და ამასთან სიკეთის, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ერთიანობის გაკვეთილები.

საქართველოს სკოლის ცხოვრებაში, ისევე როგორც მზე წყლის წვეთში, ირეკლება ყოველივე ეს. განა ამ მხრივ საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ ასეთ პატარა რესპუბლიკაში მეცადინეობა სკოლაში წარმოებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა რვა ენაზე — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბერძნულ და ესტონურ ენებზე. და ყველგან მშვიდობის პირველი გაკვეთილი — ცხოვრების პირველი გაკვეთილი იმის დამოძღვრაა, რომ გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ იგი.

ამას მოუწოდებს ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის მთელი 70 წლის ისტორია, ეს არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის არსი, მათი ახალი სამშვიდობო ინიციატივები.

რეფორმამ მტკიცედ შეაბიჯა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. 350 მუშურ პროფესიას შეასწავლის პროფესიული სკოლა. დღეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი გარდაქმნის, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის აქტიური მონაწილეა, აღებულია ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადების კურსი, მომდინარეობს სპეციალობათა გაფართოება.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს პირველად მიენიჭათ ესოდენ ფართო უფლებები—მომდინარე წლიდან ისინი მონაწილეობას მიიღებენ რექტორებისა და დეკანების არჩევნებში, მიმღები კომისიების მუშაობაში, სპეციალისტთა განაწილებაში. 660 ჯგუფი უკვე გადავიდა თვითმართველობაზე — ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან თვითონ სტუდენტები აგებენ პასუხს ყველაფრისათვის. სტუდენტთა ინიციატივით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტთან შეიქმნა სასწავლო-საპროექტო-სამშენებლო საწარმო. მისი ამოცანა ის არის, რომ ერთმანეთს შეურწყას სწავლის, დაპროექტების და მშენებლობის პროცესები. სტუდენტები არიან მთელი საქმის გამგებლები.

ზეიმით აღინიშნეს ახალი სასწავლო წლის პირველი დღე რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

**სოხუმი.** სოხუმის ნესტორ ლაკობას სახელობის №10 საშუალო სკოლაში პირველი ზარისადმი მიძღვნილი საზეიმო ხაზის საპატიო სტუმრები იყვნენ პოლიგრაფისტები. სწორედ მათ გადასცეს ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზური სკოლების აღსაზრდელებს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — მათემატიკისა და მშობლიური ენის ახალი სახელმძღვანელობები, აგრეთვე აფხაზური ლიტერატურის საკითხავი წიგნები და ქრესტომათია, საკარნახო ტექსტების კრებული. ამ წიგნებით, რომლებსაც ჯერ არცკი შეშრობიათ სტამბის საღებავი, მოვიდნენ დღეს სკოლაში უმცროსი და უფროსი კლასების მოსწავლეები. აფხაზური ენის ახალგაზრდა მასწავლებელმა მადონა სანგულიამ და ბელა ბუთბამ მშვიდობის გაკვეთილის შემდეგ პირველი მეცადინეობა დღეს ახალი სახელმძღვანელოებით გამართეს.

მშობლიურ ესტონურ ენაზე ჩაატარა დღეს მეხუთე კლასში მშვიდობის გაკვეთილი ქალაქ გაგრის ზონის სოფელ სალმეს №2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა რაისა კამმ. აი, უკვე რამდენიმე წელია ამ სკოლაში ესტონურ ენას ასწავლიან. მას სწავლობენ არა მარტო ესტონელები, არამედ სხვა მოსწავლეებიც — აფხაზები, ქართველები, რუსები თუ სომხები.

(დასასრული მე-2 გვ.)

## კოსმოსურ ვახტზე

**ფრენის მართვის ცენტრი, 1 სექტემბერი. (სატასი).** გრძელდება „მირ“ ორბიტული კომპლექსის ფრენა, რომელსაც მართავენ იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი.

ასტროფიზიკურ გამოკვლევათა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში 29-31 აგვისტოს შესრულდა ექსპერიმენტთა რამდენიმე სერია „კვანტ“ სპეციალიზებული მოდულის რენტგენული ტელესკოპების გამოყენებით. შიმდინარეობდა დაკვირვება ზეახალ ვარსკვლავზე მაგელანის დიდ ნისლოვანებაში და ნეიტრონის წყაროზე გედის თანავარსკვლავედში.

სამეცნიერო გამოკვლევათა პარალელურად ეკიპაჟი პერიოდულად ასრულებს სარეგლამენტო სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპლექსის საბორტო სისტემების ცალკეული ელემენტების შეცვლასთან, დამატებითი მოწყობილობისა და ხელსაწყოების დადგმასთან. სადგურის დამატებითი აღჭურვის გეგმის შესაბამისად დღეს კოსმონავტებმა უნდა დაასრულონ თერმორეგულირების სისტემის ჰიდროტემბოების კიდევ ერთი ბლოკის დამონტაჟება და შეამოწმონ მისი მოქმედება.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობა დასახული გრაფიკით მიმდინარეობს.

## პიროგას ასრულებენ

**„მიათურაყანგანეშის“** საწარმოო გაერთიანების სტალინის სახელობის მაღაროთსამართველოს იმ უბანმა, სადაც მოწინავე მნგრეველი ზ. კაპანაზე შრომობს, მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა გადამეტებით შეასრულა, ამასთან დაზოგა ბევრად მეტი ელექტროენერგია და ხე-ტყე, ვიდრე ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა.

ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა მუშებმა გადასინჯეს თავიანთი სადღესასწაულო ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წლის გეგმა სამი თვით ადრე შეასრულონ და შრომითი საჩუქარი მიუძღვნან დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

### უკანასკნელ ხაკთს

## ყვავილები და ტაში მომღერალს

**საბჭოთა** კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის ელენე ობრაზცოვას საქართველოში ჩამოსვლა ყოველთვის ზეიმია ჭეშმარიტი ხელოვნების მოყვარულთათვის. ასეა ახლაც: სახელგანთქმული მომღერალი ორი სოლო კონცერტით ეწვია ჩვენს დედაქალაქს. პირველი წუხელ გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ერთიც 4 სექტემბრისათვის არის დაგეგმილი.

...ხალხით გადაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მომღერალს, პროგრამაში იყო რუსული მუსიკა. დარგომიჟსკის, მუსორგსკისა და სვირიდოვის ნაწარმოებები. ყოველი ნომრის შემდეგ მჭუხარე ტაში და „ბრავო“ ისმოდა, ხოლო კონცერტის შემდეგ, რომ იტყვიან, ყვავილების ზღვაში ჩაძირეს მომღერალი თბილისელებმა.

ბედნიერი იყო თვითონაც, გვეუბნება: „რომ ვთქვა, მარტო თბილისელი მსმენელი მომწონს-მეთქი, მაშინ რალა ვუყო ქუთაისელებს? ისინი ხომ კარგად გავიცანი ეს ორი წელია. ამიტომ ვიტყვი, რომ საერთოდ ქართველი მსმენელია ასე შინაგანად დახვეწილი და გემოვნებიანი. კვლავ მრავალჯერ სიამოვნებით შევხვდებოდი მას“.

შემდეგ კი ჩვენი თხოვნით მომღერალმა ასეთი ავტოგრაფი უძღვნა „კომუნისტის“ მკითხველებს:

Читателям газеты „Коммунист"
Желаю всем много доброго и хорошего, пусть будут мир, пусть будут дети, любимая работа

Елена Образцова

**„ვუსურვებ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ყოველივე საუკეთესოს. დე ყოფილიყოს მშვიდობა, დე მოდან იყვნენ ბავშვები და საყვარელი საქმე.**

**ელენე ობრაზცოვა“.**

### „კომუნისტის“ საგუშაგო

## ბოსტნეული საიმედოდ დავაგროვოთ

**უხარისხო და უკონდიციო პროდუქტი ზამთრის**

**საცავში არ უნდა მოხვდეს!**

**საძსახაბრობრეფვის** ლილოს ხილბოსტნეულის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კომბინატის საცავებში დაიწყო ბოსტნეულის ჩაწყობა. წლეულს საიმედოდ უნდა დაბინავდეს 54.780 ტონა კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, სუფრის ჭარხალი, სტაფილო და ნიორი. ამ პროდუქტებს 1 დეკემბრიდან მაინის ბოლომდე თბილისისა და რუსთავის, აგრეთვე საკურორტო ზონის მშრომელები მიიღებენ. ბოსტნეულის საცავებში შენახვის გეგმების შესრულების ჩაშლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად პროდუქციის მომწოდებელი თითოეულ შრომითს კოლექტივში მკაცრი მომთხოვნელობის აბმოსფეროს შექმნის მიზნით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ლილოს კომბინატში შექმნა საგუშაგო.

**მკითხველს ვთავაზობთ პირველ კორესპონდენციას საგუშაგოდან.**

**მოსავალი** ის არის, რაც ბეღელშია, უთქვამთ ძველებს. ბოსტნეულის ზამთრის მარაგის შესანახი ლილოს ბაზა როგორ მოემზადა წლეულს პროდუქციის მისაღებად და დასაბინავებლად?

წლის მოსავლის შეუფერხებელი მიღება-შენახვისათვის კომბინატელებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს. მშენებლებს ეხმარებოდნენ სამუშაოთა დროულად, გრაფიკის მიხედვით დამთავრებაში. მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ოპერატიული ჩარევითა და ეფექტიანი დახმარების შედეგად მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. შეკეთდა საცავის ყველა საწყობი და მაცივარი, 120 ათასზე მეტი კონტეინერი, ბულგარული ელექტროამწეები, მძიმეწონიანი მანქანების დამცლელები, ტრანსპორტიორები, მექანიკური ხაზები და სხვა. მთლიანად შეკეთდა, დეზინფექცია გაუკეთდა და კონტეინერებით მომარაგდა №2 ბოსტნეულის ტექნოლოგიური კორპუსი. მის საწყობში საიმედოდ დაბინავდა 413,2 ტონა ნიორი. 18 აგვისტოდან კი დაიწყო ხახვის შენახვა.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით №1 ტექნოლოგიურ კორპუსზე, რომლის მაცივრებსა და საწყობებში 31 ათასი ტონა ხარისხოვანი კარტოფილი უნდა დაბინავდეს. აქ მშენებლები კორპუსის სახურავის შეკეთებაზე მუშაობდნენ; მიმდინარეობდა საწყობებში კონტეინერების აწყობა-დაკომპლექტების, საკომპრესორო-სავენტილაციო დანადგარების და ელექტროქვესადგურების სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები. ჩქარდება კომბინატის მიწისქვეშა კომუნიკაციების საკანალიზაციო, სანიაღვრე და სასმელი წყლის ქსელის სამუშაოებიც, ასფალტის დაგება და სხვა.

— ეს სამუშაოები გრაფიკის თანახმად 20 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო, — თქვა კომბინატის დირექტორის მოადგილემ ვაჭრობისა და შენახვის დარგში ჯემალ აკობიძემ, — მაგრამ დავალება სამუშაოების 10 სექტემბრისათვის დამთავრებას ითვალისწინებს, რადგან ზოგიერთმა მეკარტოფილეებმა რაღაცა შეიძლება ჭირნახული, წინა წლებთან შედარებით, 10 დღით ადრე მოგვაწოდოს. ამიტომ მშენებლებს ჩვენი დახმარე მუშები მივაშველეთ. დღე და ღამე მუშაობენ. 10 სექტემბერს მშენებლები გვაცლ კომბინატიდან, ჩვენ კი მზად ვიქნებით პროდუქციის რიგიანად შეხვეისათვის.

საგულისხმოა ერთი არასასურველი ფაქტიც: წინა წლებში კომბინატს საჭირო რაოდენობის კონტეინერებს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა უმზადებდა. რატომღაც, კონტეინერებს დამზადება მერე დაეკალა ამავე სამინისტროს ზუგდიდის ლითონკონსტრუქციების ქარხანას. მაგრამ ამ ქარხნის კონტეინერები უხარისხოა, მალე ფუჭდება, ნაწილი ამთავითვე შესაკეთებელია. ამ სამართლიან შენიშვნას სამინისტრო ეფეჭრობთ დროზე მიაქცევს ყურადღებას, რათა ზუგდიდელებმა ხარისხოვანი კონტეინერები მიაწოდოს შემკვეთს.

— პირველი დღეების შედეგები? — ვეკითხებით დირექტორის მოადგილეს.

კომბინატის საცავებში საგეგმო 533 ტონის ნაცვლად შენახულია 413,2 ტონა ნიორი; ახმეტის რაიონმა 15 ტონის ნაცვლად შემოზიდა 26,4 ტონა ნიორი, გორის რაიონმა უფრო მეტი — 20 ტონის ნაცვლად 193,4 ტონა. საგეგმო დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულე

## სსრ კავშირი-აშშ:

# გულახდილი დიალოგის დრო

— **ყველა** წინაადმდეგობის მიუხედავად, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს თიშავს, ბევრი საერთო მიზანი გვაქვს, ორმელთაგან დღეისათვის უმნიშვნელოვანესია ბირთვული არსენალების შემცირება, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის პროცედურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ კლოდ პეპერმა. იგი მეთაურობს ამ კომისიის დელეგაციას, რომელიც სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით რამდენიმე დღეს იყო ჩვენს ქვეყანაში.

მოსკოვსა და ლენინგრადში ყოფნის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენები 31 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდნენ. იმავე დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა საუბარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ატმოსფერო მსოფლიოში ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაზე. ჩვენი სახელმწიფოები, საბჭოთა და ამერიკელი ხალხები მომავლისაკენ სხვადასხვა გზით მიდიან. მაგრამ ამასთან არსებობს საერთო პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიოს ბედისათვის ორი დიდი სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთან. და აქ წარუვალი მნიშვნელობა ენიჭება კონფრონტაციის კურსზე უარის თქმას ახალი პოლიტიკური აზროვნების საარგებლოდ, ყოველსმომცველი საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენებმა დამსწრეთ გაუზიარეს ქვეყანაში მოგზაურობის და, კერძოდ, საქართველოში ყოფნის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი, რამაც მათ საშუალება მისცა ადგილზე დარწმუნებულიყვნენ იმ ცვლილებებში, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებაში ხდება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ო. ანდრიაძე, რ. ა. გოგლიძე, ნ. მ. მგალობლიშვილი, ი. ა. მენაღარიშვილი და ა. რ. სანებლიძე.

იმავე დღეს ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოს ზელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, შემდეგ დაესწრო ქართული ხალხური მუსიკის კონცერტს. საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას ვახშამი გაუმართა.

1 სექტემბერს სტუმრები კვლავ ეცნობოდნენ საქართველოს. მათ დაათვალიერეს ქალაქ თბილისის ძველი ნაწილის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ საზეიმო რიტუალების სასახლეს, შეხვდნენ აქ ქართველ მეცნიერ გერონტოლოგებს.

იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაცია პარიზს გაემგზავრა.

(საქინფორმი).

# გზა მშვიდობისა, სწავლის მძებნელო!

(დასასრული)

მეცადინეობის დაწყება მ დ ე სკოლის ეზოში, რომელიც ორი წლის წინათ აშენდა აფხაზეთის მიწაზე ესტონელი გლეხების დასახლების ასი წლისთავის აღსანიშნავად, შეიკრიბნენ შრომის ვეტერანები, კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მოწინავეები, ისინი, ვისი ბავშვებიც სწავლობენ დღეს სკოლის ვრცელ, ნათელ საკლასო ოთახებში. ცოდნის დღე სოფლის სკოლაში ხალხთა მეგობრობის დღესასწაულად იქცა. მასმა მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებით მოისმინეს შორეული ტალინიდან გამოგზავნილი დეპეშის ტექსტი, რომელშიც ესტონეთის განათლების მინისტრმა მეფულო�ა სალმელ ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დაწყება.

**ბათუმი.** შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ახალი სასწავლო წლისათვის ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა — ახალი შენობა, რომელშიც არის ვრცელი საკლასო ოთახები და კაბინეტები, სააქტო და სპორტული დარბაზები, სასადილო, სახელოსნოები და... საძილე ოთახები ყველაზე პატარებისათვის. დილაადრიან აქეთკენ გამოემართნენ ბავშვები და სკოლის ეზო ხასხასა ფერებით აელვარდა: ყველგან მოჩანს ყვავილები, დროშები, ტრანსპარანტები. სკოლის გახსნისა და ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოსწავლეებთან ერთად მოვიდნენ მათი შშობლები, სპეციალისტები, ავტონომიური რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

მოსწავლეებს მიუღოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ზინაიდა დადიანმა, წარჩინებულმა მეციტრუსემ, სოციალისტური შრომის გმირმა მამუდ მიქელაძემ, სკოლის ყოფილმა კურსდამთავრებულმა. აი, დგება საზეიმო წუთი. გადაიჭრა ლენტი, ფართოდ გაიღო სკოლის კარი. სკოლის ზღურბლზე გამოდის პირველკლასელი გურანდა არზენაძე და რეკავს ზარს. ზარის წკრიალა ხმა მოუხმობს მოსწავლეებს, პედაგოგებს, სტუმრებს ცოდნის დღესასწაულზე.

1 სექტემბერი მშვიდობის მსოფლიო დღეა. შემთხვევითი როდია, რომ აქ პირველი გაკვეთილი მშვიდობის გაკვეთილი იყო. იგი გამართეს რაიონის წარჩინებულმა ადამიანებმა. ისინი ბავშვებს ესაუბრნენ მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი პროგრესული ძალების ბრძოლაზე.

630 მოსწავლეს იტევს ახალი სკოლა. აქ ერთ ცვლად იმეცადინებენ. პირველად შეისწავლიან ჭაბუკები ტრაქტორს და საშუალო განათლების ატესტატთან ერთად მიიღებენ მექანიზატორის დიპლომს. გოგონები ჭრა-კერვას დაეუფლებიან.

**ცხინვალი.** პატარა ლიახვის თვალწარმტაც ნაპირზეა ვანათის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. იგი ცნობილია თავისი საბრძოლო ინტერნაციონალური ტრადიციებით. აქ სწავლობდა ავიაგამანადგურებელი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ ჩოჩიევი.

სწორედ მის გმირულ ცხოვრებაზე საუბრით დაიწყო აქ პირველი გაკვეთილი — მშვიდობის გაკვეთილი. სკოლის პედაგოგებთან ერთად მას უძღვებოდნენ ქალაქის წარჩინებული ადამიანებიც.

— ინტერნაციონალიზმის პირველ გაკვეთილებს ჩვენი ბავშვები — სკოლის ზღურბლზე ფეხის გადმოდგმისთანავე იღებენ, — თქვა სკოლის მიტინგზე რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ზინაიდა კულუმბეკოვამ. — სწავლება მიმდინარეობს ორ ენაზე: ოსურად და ქართულად. ახალი სასწავლო წელი გარდამტები (გახდება. ხორციელდება რეფორმა. მისი არსია პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ადამიანის აღზრდა, შრომისა და ცხოვრებისათვის მისი მომზადება. აი რატომ არის ჩვენთვის მთავარი ერთმანეთს დავუკავშიროთ სწავლება და საწარმოო შრომა. იზრდება პროფესიონალიტეტიანი მუშაობის როლი. დავიხსოვთ ამოცანა — გავზარდოთ ბავშვების თვალში მუშური პროფესიების პრესტიჟი.

**ქუთაისი.** პირველ სექტემბერს ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ვასილ კიკვიძის სახელობის კლას-კაბინეტმა ფართოდ გაუღო კარი შარშანდელი სასწავლო წლის საუკეთესო კლასს. აქ ჯერ სამოქალაქო ომის ლეგენდარული დივიზიის მეთაურის სახელობის ოთახში მეცადინეობის საპატიო უფლება მიენიჭათ სკოლის მეწინავეებს — VIII[1] კლასის მოსწავლეებს.

— ოც წელზე მეტია ჩვენს სკოლაში არსებობს საუკეთესო აკადემიური წარმატებისათვის, სანმოშუნი დისციპლინისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის წახალისების ეს ფორმა, — თქვა კლასის ხელმძღვანელმა, ამ კლას-კაბინეტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ელეონორა საფარეშვილმა. ამ სასწავლებლის ისტორია ბევრი ცნობილი მოღვაწის სახელთან არის დაკავშირებული. აქ სწავლობდა და ბრძოლის პირველი გაკვეთილები მიიღო ვასილ კიკვიძემ. ამ კედლებში იგი მომავალ პოეტ-ტრიბუნთან ვალერიან მაიაკოვსკისთან ერთად მონაწილეობდა 1905 წლის გამოსვლებში.

# გარდაქმნის საქმეებში აქტიური მონაწილეობისათვის

**საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების განახლება ოლი ამოცანა არ არის. ბევრი რამ უკვე გააკეთეს: შეიძინეს პირველი გამოცდილება, სძლევენ ინერციას. მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი სამუშაოა. ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გარდაქმნაში საბჭოების აქტიურობის გაძლიერების კონკრეტული გზები განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.**

მოისმინა რა მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ინფორმაცია ყველა საფეხურის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა შეკრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ, სხდომამ აღნიშნა, რომ ასეთი ფორმის მუშაობამ საგრძნობლად გაზარდა ხალხის რჩეულთა აქტიურობა. შეკრებებზე დეპუტატებმა აღმასკომების წინაშე წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებების დაძლევა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სფეროში, დეპუტატთა და საზოგადოებრივ ფორმირებათა როლის გაძლიერება ამ მუშაობაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოიყენონ შეკრებები როგორც მათი სწავლების, საქალაქო და რაიონული რგოლების სამსახურების ხელმძღვანელებთან ქმედითი კონტაქტების დამყარების ერთ-ერთი ფორმა.

გაიმართა საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები. აღმასკომთა არჩეულ შემადგენლობას შეემატნენ მუშათა და კოლმეურნეთა, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ახლა აქ არ არიან აღმასკომების სამართველოთა და განყოფილებათა ხელმძღვანელები. დეპუტატთა ეროვნული შემადგენლობა უფრო სრულად გამოხატავს მოსახლეობის სტრუქტურას. საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას საქმიანობა და კოსკრეტულობა მიანიჭა იმ გარემოებამ, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით მთელ რიგ სესიებზე აღმასკომების თავმჯდომარეთა პოსტზე დაასახელეს რამდენიმე კანდიდატური. მოისმინა რა ინფორმაცია ამ საკითხზე, სხდომამ აღნიშნა, რომ მთელ რიგ საბჭოებში პირველმა სესიებმა შაბლონურად ჩაიარა. სუსტად იყო ორგანიზებული ძირითადი სესიათა დოკუმენტების წინასწარი განხილვა საცხოვრებელ ადგილას, შრომითს კოლექტივებში, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მასებთან საბჭოების ურთიერთობის განმტკიცების შესაძლებლობა. უწინდებურად სესიებზე გამომსვლელთა შორის ცოტაა წარმოების მუშაკი დეპუტატი, ჯერ კიდევ ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები კამათში. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმ ფაქტსაც, რომ აბრორეატორის, ახალქალაქის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ყვარლის, ლენტეხის, მარნეულის რაიონებში სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა შორის არც ერთი ქალი არ არის.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ადგილობრივ საბჭოებს ხელი შეუწყონ დეპუტატთა საქმიანობის „ფაქტურებას თავიანთ საარჩევნო ოლქებსა და შრომითს კოლექტივებში, „ურად იღონ ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი.

მუშაობის სტილის გარდაქმნის, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისთვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრის მიზნით კონკრეტული დავალებები მიეცა მარნეულის სახალხო დეპუტატთა სამალაქო საბჭოს აღმასკომს. სხდომამ აღნიშნა, რომ აღმასკომი ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს საჭირო ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებებს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომშლექსურობის უზრუნველსაყოფად და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მრეწველობაში ნელია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, საწარმოები სუსტად არიან მომზადებული სახელმწიფო მიღებასა და მრავალცვლიანობაზე გადასვლისათვის.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქის აღმასკომი, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებები, ადმინისტრაციული ორგანოები არ ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც აქ ოპერატიული ვითარება უწინდებურად რთულია. მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მის აღმასკომს დაევალა გააქტიურონ მუშაობა მშრომელების დასარაზმავად დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, ხელი შეუწყონ ნაკლოვანებანი, ხელი შეუწყონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული მეთოდების დანერგვას.

როგორც სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერებისათვის ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის საკითხს განხილვამ ცხადყო, ამ საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. მაგალითად, მომდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში წინა წლეთან შედარებით გაიზარდა მძიმე დანაშაულობათა რიცხვი, მრავალი სამართალდარღვევა ხდება ლოთობის ნიადაგზე. მარნეულის რაიონში ჯერ კიდევ ხალხმრავალ ქორწილებსა და ქელეხებს იხდიან, ბოლო არ მოღებია სამუშაოზე მთვრალების გამოცხადებას. არ აღმოფხვრილა სოციალისტური საკუთრების დატაცების, წამატებების, თვალის ახვევის, შრომის დისციპლინის დარღვევათა ფაქტები. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა უმოკლეს დროში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი, უფრო ფართოდ გამოიყენონ შრომითი კოლექტივების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესაძლებლობანი, რომლებიც მეტ წილ ადგილობრივ საბჭოებში ჯერ კიდევ არ შექმნილა.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილეს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც, რომელთაგან თითოეულის გამო მიღებულია დადგენილება.

(საქინფორმი)

## ფეიკითხეთ მინისტრს!

**პარასკევს, 4 სექტემბერს, 16 საათზე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებთან პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. ირაკლი მენალარიშვილს**

**„კომუნისტის“ მკითხველებს შესაძლებლობა გექნებათ უშუალოდ ესაუბროთ ჩვენს რედაქციაში მოწვეულ მინისტრს.**

**ახლახან პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლეულისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. მიმდინარეობს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემულ მასალებში მოქალაქენი ყურადღებას ამახვილებენ ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებზე.**

**ჩვენი საზოგადოებრიობა, ჯეროვნად რომ აფასებს მიღწევებს, გულწრფელად და საქმიანი დაინტერესებით მიუთითებს იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მრავალ მოსაგვარებელ საკითხზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სფეროში.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას ამ ბოლო ხანს რამდენჯერმე ჰქონდათ პრინციპული მსჯელობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში აღმაშფოთებელ ფაქტებსა და შემთხვევებზე, საჯაროდაც გააკრიტიკეს სამინისტრო.**

**რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად? როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა სისტემაში? როგორ განიხილავენ სამინისტროს აპარატი და რესპუბლიკის მედიკოსთა მრავალათასიანი კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტს? როგორ ემზადებიან მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის? — აი, სწორედ ეს საკითხები იქნება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და „კომუნისტის“ მკითხველთა უშუალო, პირდაპირი სატელეფონო დიალოგის მთავარი თემა.**

**თქვენ შეგიძლიათ მინისტრს ტელეფონით მისცეთ თქვენთვის საინტერესო ნებისმიერი შეკითხვა, გაუზიაროთ შენიშვნები, წინადადებანი, მოსაზრებანი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, საგფთიაქო, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თუ ჯანმრთელობის დაცვის სხვა სამსახურების საქმიანობაზე, სთხოვოთ მინისტრს საინტერესო საკითხების განმარტება, გამოთქვათ სურვილები, პრეტენზიები, კრიტიკული შენიშვნები.**

**ეფიქრობთ, ასეთი დიალოგი, მინისტრთან ასეთი პირდაპირი კავშირი წაადგება უმნიშვნელოვანესი პარტიული და სახელმწიფოებრივი დოკუმენტის საჯარო განხილვის საქმეს.**

**მაშ, ასე: „კომუნისტის“ მკითხველებს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან პირდაპირ სატელეფონო დიალოგზე ვიწვევთ პარასკევს, 4 სექტემბერს. დიალოგი დაიწყება 16 საათზე.**

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო და მისი საქალაქთაშორისო სატელეფონო სამსახური შემწეობას და თანადგომას გვპირდებიან.**

**ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს შეგიძლიათ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში დაუკავშირდეთ ტელეფონებით:**

**93-35-99, 93-26-99.**

## გუშინ, დღეს, ხვალ

◆ ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

**რესპუბლიკაში კვლავ ენერგიულად გრძელდება წლევანდელი სტიქიის შედეგების აღმოფხვრა. როგორც გუშინ შეგვატყობინეს, დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირშიც გაიჭრა**

### პირველი საძირკვლები

დამთავრდა თუ არა საპროექტო სამუშაოები, მშენებლები მთელი ენთუზიაზმით შეუდგნენ ახალი დასახლების მშენებლობას.

სწორედ აქ იცხოვრებენ სტიქიით დაზარალებული ოჯახები, რომლებიც დროებით უბინაოდ დარჩნენ.

უკვე გაჭრილია 40-მდე საძირკველი. ამ სახლებში, უპირველესად, ჩოხელთიდან და სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებულნი დაბინავდებიან. საერთოდ კი 300 მთიელის ოჯახი დაინთებს კერას ამ ახალ დაბაში.

▼▼

**დღანისი ახალი მშობლიური კერა გახდა იმ ოჯახებისათვის, რომელთაც არაერთი უბედურება დაატეხა წლეულს სტიქიამ და აიძულა, მიეტოვებინათ მესტიის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ბუბერი.**

**ძნელია ხელაღებით მოსწყდე მშობლიურ სანახებს, მაგრამ უფრო ძნელი იმ თვისტომებთან განშორებაა, კვლავ მთაში რომ დარჩნენ და იშვიათადღა თუ მიაწვდენ ხმას.**

**ასე იყო გუშინ, გუშინწინ. და აი ნანატრი**

### პირველი რეისი

დილის 6 საათი და 55 წუთია... რაიონული ავტოსადგურის მოლარეს ჩვეულებრივზე ადრე, უთენია მოუწია სამუშაოზე გამოსვლამ. და აი, ბილეთიანი მგზავრებიც თავ-თავიანთ ადგილს იკავებენ ავტობუსში. 7 საათისათვის მოლარე საყრიცხვო უწყისს აწვდის მეწყვილე მძღოლებს —მურმან მიქიანსა და თამაზ ციხელეიანს, რომლებიც გულდასმით ამოწმებენ შორეული რეისისათვის განკუთვნილი „ავტ-672“ მარკის ავტობუსის სიმდგომარეობას, საქარე მინაზე ამაგრებენ ტრაფარეტს წარწერით „დმანისი-ჭუბერი“.

ამიერიდან ეს ავტობუსი ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს ივლის ამ მარშრუტით.

▼▼

**ქუთაისში შეიქმნა ავტოსერვისის კოოპერატივი „ოზონი“, რომელიც სრული გარანტიით ემსახურება ავტომოყვარულთ.**

### პირველი კოოპერატივი

— **არა,** ეს ჰაერსაწმენდი დანადგარი არ არის, — ამბობს კოოპერატივის თავმჯდომარე ბაკურ ვაჩნაძე, რომელიც წინათ ადგილობრივი ელექტრომექანიკური ქარხნის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა, — მაგრამ გარემოს სისუფთავე ბევრად არის დამოკიდებული შიგაწვისძრავიანი მანქანების შესაბამისი სისტემების გამართულ მუშაობაზე.

პირველი ნაბიჯებიდანვე გაგვიმართლა. კოოპერატივის მეურვეობა ითავა ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, რომელსაც რეალური დახმარების გაწევა შეუძლია, და ამაში მალევე დავრწმუნდით: ჯერ საკუთარი სახსრებით შეკეთებული საწყობები გადმოვვცა, შემდეგ კი ავტოდიაგნოსტიკის იმპორტული აპარატურაც შეგვიძინა.

უამისოდ ვერაფერს გავხდებოდით, ზუსტი დიაგნოზი ხომ მანქანის „მკურნალობის“ საწინდარია. და ჩვენც, ამგვარი დიაგნოზის შემდეგ, მანქანის მფლობელს წინასწარ ვუთანხმებთ შესასრულებელ ოპერაციათა მოცულობას. ჩვენივე ვასრულებთ საკონტროლო სამუშაოებს ძრავებში. ვარგულირებთ ავტომობილის კვების, ანთებისა და ელექტრომოწყობილობის სისტემებს. მანქანის შეკეთების შემდეგ შემკვეთს საგარანტიო ტალონსაც ვაძლევთ.

რაც შეეხება ფასებს, აქ პრეისკურანტი სტაბილურია.

▼▼

**და აი, ცხინვალშიც გაიხსნა სპეციალიზებული მაღაზია „ოიგული“. იმ ავტომანქანათა მფლობელებს, ორმელთაც ვოლგის ავტოქარხანა უშვებს, შეუძლიათ შეიძინონ თავიანთი ავტომობილების სათადარიგო ნაწილები.**

### პირველი საფირმო

ახალი სავაჭრო ობიექტი, რომელიც პირველი ასეთი საფირმო მაღაზიაა ავტომობილურ ოლქში, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ონის, ამბროლაურისა და სხვა მეზობელი რაიონების ავტომოყვარულებსაც მოემსახურება.

მალე მაღაზიით ისარგებლებენ აგრეთვე მძღოლები, რომლებიც ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალით ცვლიან.

# უცხოეთში

**ტელეტაიპი გადმოგვცემს**

**1 სექტემბერი 24 საათი**

## სსრ კავშირის ნოტა ბირთვული გამოცდის შეწყვეტის შესახებ

**ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა ვერბალური ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა წინადადებანი ბირთვული გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის მიღწევის შესახებ.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციებ ი ს შესაბამისად, საბჭოთა კავშირი წინადადებას აყენებს გადაუდებლად დაიწყოს მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება ყოველნაირი შემდგენლობით მოეწყოს ნებისმიერ ფორუმზე, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით, ნათქვამია ნოტაში, რომელიც დღეს გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად. საბჭოთა კავშირის აზრით, სასიკეთო გარემოებათა შემთხვევაშიც კი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება, თავისი ორმხრივი ხასიათის გამო, საბოლოოდ ვერ გადაპრის პრობლემას — ვერ დაიდება ყველგან და ყველას მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარეობს ჩვენი რწმენა, აღნიშნულია ნოტაში, რომ მორიგებათა შემუშავება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე და ყოველსმომცველი ხელშეკრულების მომზადება განიარაღების კონფერენციის ფარგლებში პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

საერთოდ, ნათქვამია ნოტაში, საკითხისადმი სსრ კავშირის მიდგომა ასეთია: პრაქტიკულად, კონსტრუქციულად, დაუყოვნებლივ უნდა იმუშაონ ბირთვული გამოცდის საკითხის რადიკალურ გადაწყვეტაზე. ჩვენ გვინდა არა უბრალოდ ავამოძრაოთ არსებული მექანიზმები, არამედ უზრუნველვყოთ კიდეც მათი პრაქტიკული უკუგება ყველაზე უახლოეს დროში. ვადასტურებთ იმასაც, რომ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ კონფერენციაში მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აკრძალვათა მოცულობის გაფართოების მიზნით, რაც სრულად შეუწყობს ხელს ზრახვებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მისმა მონაწილეებმა გამოთქვეს დოკუმენტის ხელმოწერისას.

● **აშშ** ◆ **პაკისტანი**

## სისხლიანი ჭრაგელია ბოსტონში

**ნიუ-იორკი. სისხლიანი ტრაგედიის ასპარეზი გახდა ბოსტონის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რაიონი. კვირას ავტომატით შეიარაღებულმა უცნობმა პირმა ცეცხლი დაუშინა ქუჩაში გამვლელებს, შემდეგ შეეჭრა ერთ-ერთ სახლში, სადაც განაგრძობდა სროლას. წინასწარი მონაცემებით, მან მოკლა ხუთი და დაჭრა ორი კაცი. ბოლო ცნობების თანახმად, დაჭრილები კრიზისულ მდგომარეობაში არიან.**

პოლიციელებმა ახლომდებარე სახლებიდან გამოიყვანეს მცხოვრებნი და იერიში მიიტანეს შენობაზე, სადაც დამნაშავე იყო, მაგრამ მან თავი მოიკლა. ვინაობა და დანაშაულის მოტივები ჯერჯერობით არ არის დადგენილი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ანგარიში გაუსწორა მანიაკმა, რომელსაც ხელი ჩაუვარდა ცეცხლმსროლი იარაღი. შეერთებულ შტატებში, სადაც, დამნაშავეობის ზრდის მიუხედავად, მკაცრი კონტროლი არა აქვს დაწესებული იარაღის გაყიდვასა და შენახვას, ასეთი შემთხვევები რეგულარული გახდა.

● **ესპანეთი**

## ჰუშტუნებმა შეუტია არმიის საგუშაგოს

**ძაბული. პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთი სახაზღვრო პროვინციის კურამის რაიონიდან მოსული ცნობები მოწმობს, რომ გრძელდება ჰუშტუნთა ტურის ტომის რაზმების შეიარაღებული შეტაკება პაკისტანის რეგულარული არმიის ქვეგანაყოფებსა და ავღანელ დუშმანებთან. ტომის მებრძოლებმა, იერიში მიიტანეს პაკისტანის ჯარების საგუშაგოსა და დუშმანთა მოსამზადებელ ბანაკზე ნურკაის დასახლებულ პუნქტში. არიან დაზოგილები, რამდენიმე შენობა დაიწვა. თავს დაესხნენ არმიის საგუშაგოებს ჰარლაჰპის, მალი-ქილის, პარაჩინარის რაიონებში.**

პარაჩინარში გაიმართა ტურის ტომის კლანების ჯირგა. ბელადებმა და უხუცესებმა მოუწოდეს მოსახლეობას, შეაკავშირონ რიგები, რათა საკადრისი პასუხი გასცენ პაკისტანის რეჟიმის ხრიკებს. ჯირგის მონაწილეებმა მოითხოვეს, დაუყოვნებლივ გაიყვანონ კურამის რაიონიდან პაკისტანის არმიის ქვეგანაყოფები და ავღანეთის კონტრრევოლუციის შენაერთები.

ავღანეთის დედაქალაქში გამოაქვეყნეს ტომთა უმაღლესი ჯირგის ცენტრალური საბჭოს განცხადება, რომელშიც სოლიდარობას უცხადებენ ჰუშტუნთა და ბელუჯთა ბრძოლას იმპერიალიზმისა და რეგიონალური რეაქციის ხელყოფის წინააღმდეგ. სულ ცოტა ხნის წინათ ინარიცინი იცავდნენ დამოუკიდებლობას შინვარისა და აფრიდის ტომები, ამ დღეებში კი პაკისტანის რეჟიმი ფართო აგრესიას ახორციელებს ტურის, ბანგაშისა და მელიჭიელის ტომების წინააღმდეგ კურამის რაიონში. ჰუშტუნთა დასარბევად, აღნიშნულია დოკუმენტში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაგზავნეს ტანკები, ვერტმფრინავები და არტილერია. მაგრამ ისლამაბადის ყველა ცდა, წაართვას ჰუშტუნებს მათი ტრადიციული უფლებები, განწირულია.

ყველა ტომის სახელით, რომლებიც სახლობენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პროვინციებში, ტომთა უმაღლესი ჯირგის ცენტრალური საბჭო სოლიდარობას უცხადებს ავღანეთის ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ჰუშტუნებისა და ბელუჯების სამართლიან საქმეს. ავღანელი ხალხები იბრძვიან ერთი და იგივე მიზნების განხორციელებისათვის — და. მისი მოძმე ტომები, მშვიდობისა და თავიანთ მიწა-წყალზე სიმშვიდისათვის.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწყებული ეროვნული შერიგების პოლიტიკის წყალობით სისხლის ღვრის შეწყვეტისა და სამშობლოში ლტოლვილთა დაბრუნების რეალური პერსპექტივები დაისახა, აღნიშნულია განცხადებაში.

● **ფეიცია**

## ვანდალიზმის აქტი

**სტოკჰოლმი. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ვანდალიზმის მეორე აქტი მოხდა სტოკჰოლმის ნაკის გარეუბანში მემარცხენე პარტიის კომუნისტთა ადგილობრივი განყოფილების შენობაში.**

უცნობმა პირებმა, რომლებიც შეიჭრნენ მემარცხენე პარტიის კომუნისტების შენობაში, დაარბიეს იქაურობა. მათ წაიტაცეს სტელაჟები, გატეხეს პირის გადასაღები მანქანები და კანტორის სხვა მოწყობილობა, საღებავით მოთხვარეს კედლები. დანაშაულის ადგილზე ბოროტგანმზრახველებმა დატოვეს „სავიზიტო ბარათი“ წარწერით: „სს-ის რაზმი-ჰიტლერი ცოცხალია“.

ხელისუფალთა აზრით, თავდასხმის საბაბი გახდა კომუნისტების მონაწილეობა ახლახან გამართული მასობრივი ანტირასისტული მანიფესტაციის ორგანიზაციაში.

## დაიწყო ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრები

**ბრიუსელი. ნატოს წევრი ქვეყნების დიდი სამხედრო-საზღვაო მანევრები „იუშნ საფარი-87“ დაიწყო ორშაბათს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილსა და ნორვეგიის ზღვაში. როგორც ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა იუ

# ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲤᲔᲜᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ

## ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ

**ᲘᲚᲘᲐ** ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ შემოქმედება საზოგადოებრივ ასპარეზზე მისი გამოსვლისთანავე საერთო ყურადღების საგანი გახდა. ქართულმა კრიტიკულმა აზრმა იმთავითვე აუღო ალღო ახალ ნაკადს, ახალ მიმართულებას, რომელიც პეტერბურგში განსწავლულ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა ილიას მეთაურობით პირველად ჩამოაყალიბა „ცისკრის“ ფურცლებზე, ხოლო შემდეგ გაალვივა, განავითარა და მწყობრ მიმდინარეობად წარმოადგინა „საქართველოს მოამბეში“. „ცისკრის“ ფურცლებზე ილიას ცნობილი სტატიის გამოატეხილმა კამათმა სათავე დაუდო ილიას ფენომენის კრიტიკულ გაგებას. ამის შემდეგ დიდი მწერლისა და მოაზროვნის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა და მისი როლი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში ყურადღების ცენტრში იდგა მუდამ ილიას სიცოცხლეშიც და განსაკუთრებით მისი ვერაგული მკვლელობის შემდეგ. ილიას ფენომენის მიმართ ქართულ საზოგადოებრივ აზრს ეკავა სხვადასხვა პოზიცია, რომლის საფუძველი ძირითადად ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობის კლასობრივი, პარტიული მსოფლმხედველობა იყო. თუ ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობის გააზრების ამ ვრცელ გზას თვალს გავადევნებთ, გამოიკვეთება ძირითადად სამი ეტაპი, სამი პერიოდი, რომელიც შეიძლება ასე დათარიღდეს: XIX საუკუნის 60-80-იანი წლები; XIX საუკუნის 90-იანი-XX საუკუნის ოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი; 1936 წლიდან — დღემდე.

პირველ ეტაპს ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასებაში უკვე ახასიათებს შეხედულებათა სხვადასხვაგვარობა. ამისდა მიუხედავად, გამოკვეთილად ეროვნული ერთი საერთო ტენდენცია: ილია ჭავჭავაძე არა მარტო მის მიმდევართა, არამედ მოწინააღმდეგეთა მიერაც აღიარებულია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მთავარ და ხელმძღვანელ ძალად, 60-70-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მეგზაურხტრედ, ღრმა მოაზროვნედ, ახალი მიმართულების — რეალიზმის მოთავედ მხატვრულ ლიტერატურაში. კონსერვატორთა ბრძოლაც დემოკრატიული გადახალისებებისა და აზროვნების წინააღმდეგ უპირველესად მიმართულია ილიას, როგორც ამ მოძრაობის მოთავის, წინააღმდეგ.

„ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში ილია ჭავჭავაძის სტატიამ „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც გაბედულად იყო დაგმობილი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რუტინა და დრომოჭმული, უვარგისი ლიტერატურის განდევნის აუცილებლობა, როგორც ცნობილია, ფეხზე დააყენა რეტროგრადთა მთელი ბანაკი. ჟურნალის მომდევნო ნომერი თითქმის მთლიანად „ეელინსკის ტომებით შეიარაღებული სტუდენტის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ილიას „პასუხმა“ ადრე თქმულს მეტი სიღრმე და დასაბუთება მიანიჭა, მეტი სიცხადით უჩვენა კონსერვატორთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამორჩენილობა და მავნე ხასიათი. რეტროგრადები არც ამის შემდეგ დამცხრალან და „ცისკრის“ ფურცლებზე კვლავ ქვეყნდებოდა სტატიები ილიას შეხედულებათა საპირისპიროდ. ილიას გამოქმედნენ პეტერბურგელი მეგობრები (კ. ლორთქიფანიძე, ა. წერეთელი, ს. აბაშიძე). ამ ბრძოლაში კონსერვატორებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. პოლემიკამ საზოგადოებრობის თვალში გაზარდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი, აამაღლა, ცხადყო, რომ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას ბუმბერაზული ძალა მოევლინა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ ტრიბუნად წარმოდგა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც 1863 წელს გამოსცა ილია ჭავჭავაძემ. ეს ჟურნალი „ცის მანანა“ იყო ქართულ სინამდვილეში. მისი სამოქმედო პროგრამა ქართველი ერის კონსოლიდაციას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ბატონყმური რეჟიმის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებდა.

ჟურნალმა გიგანტური ნაბიჯებით წასწია წინ ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, აიყვანა იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ სიმაღლეზე, აზიარა იმ იდეებსა და შეხედულებებს, 60-იანი წლების საზოგადოებრივ აზრს რომ აწუხებდა რუსეთსა და ევროპაში. თერგდალეულთა და მისი მესვეური ილია ჭავჭავაძე ეროვნული პროგრესის წამყვანი ძალა გახდა.

რა თქმა უნდა, თერგდალეულთა პროგრესული შეხედულებების დამკვიდრება ერთბაშად და უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ახალი მიმდინარეობისადმი იჩქვნეულად იყო განწყობილი. „ცისკარი“ ისევ იცავდა ადრეულ პოზიციებს, თუმცა უღიმღამოდ. ამ ჟურნალის 1863 წლის მარტის ნომერში „ქერელი ბექას“ ხელმოწერით დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის კრიტიკული წერილი „საქართველოს მოამბის“ პირველი ორი ნომრის შესახებ. ცისკრის ამავე წლის ივლისის ნომერში ა. ფურცელაძემ კვლავ მიმოიხილა კრიტიკულად „საქართველოს მოამბის“ მიმართულება და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. ეს მიმოხილვანი ცხადყოფს, რომ ა. ფურცელაძემ ვერ გაიგო ვერც „საქართველოს მოამბის“ აღებული კურსის არსი, ვერც ი. ჭავჭავაძის შემოქმედების დედააზრი. ჟურნალიც და მისი რედაქტორიც ა. ფურცელაძემ არსებითად „უნიჰო“ მოვლენად წარმოუდგინა საზოგადოებრიობას. ა. ფურცელაძის ასეთ პოზიციას, გარდა პირადულისა, საფუძვლად ედო მისი მცდარი, ეკლექტური წარმოდგენა იმდროინდელ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ პროცესებზე. აქ არაფერს ვიტყვით „ცისკრის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იმ კრიტიკულ შეფასებაზე, რომლებიც მდგიმელის ან დ. ჯანშიერის (ინგილო) სტატიებშია მოცემული, რადგან მათი დონე დაბალი იყო და ახალს არაფერს შეიცავდა ილიას შემოქმედების შეფასებაში.

**ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მისი დიდი მნიშვნელობის პირველი მართებული შეფასება იკუთვნის აკაკი წერეთელს.** 1864 წელს კ. ლორთქიფანიძის ინიციატივით „პეტერბურგში“ გამოიცა კრებული „ჩანგური“. ამ კრებულის რეცენზიაში, რომელიც „ცისკრის“ 1865 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, აკაკიმ მიმოიხილა ილიას ლექსები და დიდ საზოგადოებრივ მოვლენად აღიარა ისინი. აკაკი წერდა, რომ იგი არ არის მოხიბლული ილიას ლექსების პოეტურობით, მაგრამ მტკიცედ აცხადებს, რომ ილიას „ერთ სტრიქონს არ გაცვლის უმიზნოდ მომღერალთა ლექსებში“, „ილიას ლექსები ასახავს ქართულ ეროვნულ გულისტკივილს“. ასევე დიდი შეფასება მისცა აკაკიმ ილიას პროზას, რომელიც ქართული ლიტერატურის „ობოლ მარგალიტებად“ გამოაცხადა. აკაკიმ პირველმა მიგვანიშნა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ნათესაობაზე, პირველმა დაინახა ხიდი XIX საუკუნის ოცდაათიანელთა და სამოციანელთა იდეურ მოძძრაობაზე; 60-იანი წლების პროგრესული საზოგადოებრივი აზრის მედროშედ ილია ჭავჭავაძე აღიარა.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებაში საყურადღებო სიახლეები შეიტანა 1870 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ალექსანდრე ცაგარლის ფელეტონებმა „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“. „ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, — წერს ავტორი, — საკმაოდ ლანძღეს კიდეც და აქეს კიდეც. მაგრამ არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგებმა არ იცოდნენ რიგიანად ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალაზში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ“. ა. ცაგარელი მართებულად შენიშნავს, რომ ილიას ასპარეზზე გამოსვლისთანავე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო: კონსერვატიული თაობა დაუპირისპირდა ახალი თაობის ხელმძღვანელს, პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა კი გაჰყვა ილიას მის მიერ წამოწყებულ უკომპრომისო ბრძოლაში ძველისა და დახავსებულობის წინააღმდეგ. შემდეგ ა. ცაგარელი წარმოგვიდგენს ილიას პოეზიის დამახასიათებელ თვისებებს, რომელთაგან, უწინარესად, აღნიშნავს მოვლენათა მრავალმხრივი ჭვრეტის უნარს. „პუხყვა-გამოთქმათა საშინელი და შეუმგარებელი ძალა, გულწრფელობა და „გულღიაობა“, რაც ქმნის „შემძვრელ ზემოქმედებას“, მიაჩნია ა. ცაგარელს ი. ჭავჭავაძის პოეზიის მთავარ თვისებად. ნაკლად ლექსებში ბევრ მსჯელობას თვლის. განსაკუთრებით მაღალი წარმოდგენისა იყო ა. ცაგარელი ილიას პროზაზე. ჩემი აზრით ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია-ადამიანი“, — აღნიშნავს ა. ცაგარელი. ილია როგორც პროზაიკოსი, მან გვერდით ამოუყენა გოგოლს — რუსი რეალისტების მამას. ა. ცაგარლის მსჯელობას ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ზოგჯერ აკლია თანამიმდევრულობა და აზრის სიცხადე, მაგრამ იგი, საერთოდ, ფრიად საყურადღებო და წინგადადგმული ნაბიჯია ილიას 60-იანი წლების ნააზრევის დაფასებაში. ასევე მაღალი წარმოდგენისა იყო ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაზე ნიკ ნიკოლაძე, რომელმაც ჟურნალ „კრებულში“ 1873 წელს გამოქვეყნა სტატია „ჩვენი მწერლობა“. ნ. ნიკოლაძემ ილია აღიარა „შესანიშნავ მწერლად“ და „გრძნობით სავსე პოეტად“, რომელსაც „პატიოსანი თანგრძნობა ეფლივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლად დაუტოვებია და მაღალი ლტოლვიდან აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს“.

ილიას, როგორც პროგრესული საზოგადოებრივი აზრის მესვეურის სახელი და ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა იმ მწვავე იდეურ ბრძოლაში, რომელიც 1871 წელს თერგდალეულებმა კონსერვატულ ბანაკს გაუმართეს. ბრძოლის თაოსანი ილია, „გამოცანებში“ დაუნდობლად ამხილა კონსერვატორების მესვეურთა ჩამორჩენილობა, ლაქიური განწყობილება, ჩინის მოყვარეობა და მთელი მათი საქმიანობა ერის ინტერესებთან შეუთავსებლად გამოაცხადა. კონსერვატორთა დაცვა, როგორც ცნობილია, იკისრა გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც თერგდალეულთა საქმიანობა აბუჩად აიგდო და მავნედ მიიჩნია. ახალი თაობის მანიფესტს წარმოადგენდა ილიას „პასუხის პასუხი“. იგი არა მარტო უსწორებდა ანგარიშს ძველ თაობას, არამედ მოკლედ და ცხადად გადმოსცემდა იმ დიდ ეროვნულ პროგრამას, რომელსაც 60-იანი წლებიდან ემსახურებოდა ახალი თაობა. ამ თაობის ინტერესებს დაცვაში ილიას მხარდამხარ უყოყმანოდ დადგნენ ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვები.

**70-80-იანი წლები კულმინაციური ფაზაა ილიას შემოქმედებასა და პრაქტიკულ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი თაოსანია უველა დიდი ეროვნული წამოწყებისა (საბანკო მოღვაწეობა, თეატრი, ხაქველმოქმედო საზოგადოებანი),** „ივერიის“ რედაქტორი ილია პირველი იმაღლებს ხმას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის იმ ახალი, რეპრესიული კურსის წინააღმდეგ, 80-იანი წლების პოლიტიკურ რეაქციას რომ მოჰყვა, პასუხს აძლევს რეაქციის მოციქულთა გამოხდომებს, საქართველოს ისტორიული ცხოვრების გაყალბების ყველა ცდას, ჰეშმარიტ მამობას უწევს მთელ ერს მისი ცხოვრების ავისა და კარგის განსჯაში და უსაზავს საიმედო გზას წინსვლისათვის. 80-იან წლებში ილიამ უფრო გააღრმავა, გაასრულა ჰაბუკობის იდეალები. ბუნებრივია, ქართული საზოგადოებრიობა სულგანაბული უგდებდა ყურს მის ყოველ სიტყვას, საგანგებო მოვლენად იყო მიჩნეული მისი ყოველი ახალი ქმნილების გამოჩენა. 80-90-იანი წლების ქართულ პრესაში ცხარე მსჯელობა იყო გაჩაღებული უპირატესად ილიას „აჩრდილის“, „მგზავრის წერილების“, „დიმიტრი თავდადებულის“, „განდეგილის“, „ოთარაანთ ქვრივის“ გარშემო. ილიას შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილებში სხვადასხვა აზრია გამოთქმული ილიას ქმნილებათა მხატვრულ ღირსება-ნაკლოვანებებზე, მაგრამ ერთი რამ კი საერთოა: ილია ჭავჭავაძე უნიჰეიერეს მწერლად, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მებაირახტრედ, საგანგებო მოვლენად არის აღიარებული. ეს თვალსაზრისი ილიას ფენომენზე თითქოს შეაჯამა და მწყობრ შეხედულებად ჩამოაყალიბა მ. ნასიძემ („მეგობლავარ“), რომელმაც ილიას იუბილესათვის მზადების წელს (1898) გამოსცა ცალკე ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“. ეს ნაშრომი შეიცავს ილიას მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედების მწყობრ მიმოხილვას და, აჯამებს რა მათს მნიშვნელობას, მიუთითებს: „ორმოცი წელიწადია, რაც ილია ჭავჭავაძე ჰპატრონობს, ჰყარაულობს ქართველობის ინტერესებს, მისს აწმყოს და წარსულს. ამ ხნის განმავლობაში ჭავჭავაძეს ჩვენ ხვდავთ ხან პოეტად — მოლექსედ, ხან ბელეტრისტად, ხან ისტორიკოსად, ხან ფინანსისტად.... „დიდებული მოქალაქე თავის ქვეყნისა XIX საუკუნეში, — აი ჩვენი ფიქრით შესაფერი და სავსებით აღმნიშვნელი სიტყვები ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა“.

• • •

1898 წელს „კვალში“ დაიბეჭდა ფ. მახარაძის რეცენზია „მეგანლავარის“ ნარკვევის შესახებ. ილიას შესახებ მ. ნასიძისეული თვალსაზრისი ფ. მახარაძეს გაზვიადებულად, სუბიექტურად, უსაბუთო პანეგირიკად მიიჩნია. მისი აზრით, ილია ჭავჭავაძეს ახალი არაფერი შეუქმნია, ბელეტრისტიკის რეალურ მიმართულებას დასაბამი ლავრენტი არდაზიანმა მისცა, ქართული სინამდვილიდან აღებული პირველი მოთხრობა დანიელ ჭონქაძემ შექმნა, ხოლო საერო, ხალხური კილოს ენაში გზა გიორგი ერისთავმა და ზურაბ ანტონოვმა გაუხსნესო. ფ. მახარაძე შემდეგდროინდელ ნაშრომებშიც („დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, „საქართველო XIX საუკუნეში“) სამოციანელთა პროგრამას უარყოფითად მიიჩნევდა, ილია ჭავჭავაძე და მისი დასი მემამულეთა ინტერესების ამსახველად ჰყავდა წარმოდგენილი.

სამოციანელთა იდეური მემკვიდრეობის შეფასებაში უაღრესად ნეგატიური პოზიცია ჰქონდა ნ. ჟორდანიას. 1900 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „ქართული პრესა“ ნ. ჟორდანიამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის იდეოლოგია არარაობამდე დაიყვანა. „საქართველოს მოამბე,“ მისი აზრით, სრულებით ვერ უპასუხებდა ხალხის ინტერესებს, ი. ჭავჭავაძე და მისი დასი კონსერვატორთა დასი იყო და თავადაზნაურთა ვიწრო ინტერესებს გამოხატავდა. „დროებამ“ ერთგვაგა, სრულებითაც არ უპასუხებდა ხალხის ინტერესებს და ამიტომ, როგორც უნიადაგო, უკვალოდ გაქრაო. ამ პოზიციას ილიას მემკვიდრეობის შეფასებაში მთლიანად ეზიარებდა ჟურნალი „მოგზაური“, რომელიც 1905 წელს გამოდიოდა. იგი, როგორც ცნობილია, არ ერიდებოდა ინსინუაციებსაც კი, რათა შეურაცხეყო დიდი მწერლის სახელი და დამსახურება.

ეს ნიჰილისტური პოზიცია კიდევ უფრო გამკვეთრდა ილიას ვერაგული მკვლელობის შემდეგ გაჩაღებულ პოლემიკაში. ქართული მენშევიზმის ერთ-ერთმა ლიდერმა პ. გელეიშვილმა 1914 წელს გამოსცა წიგნი „ილია ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პუბლიცისტი“. ამ წიგნში ბატონად არის აგდებული სამოციანელთა მთელი საქმიანობა და იგი მშრომელი ხალხის მტრულ მოძრაობად არის გამოცხადებული, ხოლო ილია ჭავჭავაძე მიჩნეულია რეაქციული თავადაზნაურობის იდეოლოგად. ილიამ — წერდა ავტორი, — გაიყოლია ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი. მასვე მიჰყავა მთელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და ასე „აღიზარდა და განმტკიცდა ჩვენში ძველი ფეოდალური საქართველოს იდეალიზაცია, გამეფდა თავად-აზნაურული სული, აზროვნება, გუმოვნება, ხელოვნება, თავად-აზნაურული ბედოვლათობა, ყველა ეს დღესაც საფლავის ლოდათ აწევს გულზე ქართველ საზოგადოებასო.“

**რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შეფასებაში ასეთი ნიჰილისტური პოზიცია არასოდეს არ გაუზიარებია ქართული საზოგადოებრიობის უმრავლესობას.** ამ პოზიციის საპირისპიროდ მრავალი გამოკვლევა დაიწერა. ილიას მემკვიდრეობის ობიექტურ შეფასებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს კიტა აბაშიძემ, ა. ჯორჯაძემ, ა. ხახანაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც არაერთი ნარკვევი უძღვნეს თერგდალეულებს და მათს იდეურ მედროშეს ილია ჭავჭავაძეს. მართალია, ამ ავტორთა გამოკვლევებში ვიწრო პარტიული ინტერესებიც იჩენდა თავს, მაგრამ, საერთოდ, ი. ჭავჭავაძის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, როლი ძირითადად სწორად იყო შეფასებული. მაგრამ ყველაზე მართებულად და სრულად ილია ჭავჭავაძის ფენომენი მაინც გააზრებული ჰქონდათ აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას. ვაჟამ 1907 წელს ილიას უწოდა საქართველოს მამა და მოძღვარი, რომელმაც ქართველ ერს თავისი კალთა გადაუფარა და შვილივით უვლიდა, არ მომიშივდეს, ან არ შემიცივდესო.

ის ნიჰილიზმი კი, რომელსაც ილიას შეფასებაში 900-იანი წლებიდან დაედო სათავე, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა და ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევრამდე გრძელდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში მომძლავრებული იყო პროლეტკულტიზმი და რაპოვშრინა. ერთიც და მეორეც უარყოფდა წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას. წარსულის მიმართ ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი ფუტურისტებიც და სიმბოლისტებიც. ამ ვითარებაში XIX საუკუნის მხატვრული და იდეური ღირებულებანი დაკნინებულად, თანამედროვეობისათვის უსარგებლო ტვირთად იყო წარმოდგენილი. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულობა დამხობილი კლასის ინტერესების ამსახველად იყო მიჩნეული და არცთუ ცოტა რამ იწერებოდა მათი ნამოღვაწარის გაბიაბრუების მიზნით. ნიჰილისტური პოზიციის წინააღმდეგ ამ დროს გაბედულად, პირველმა აღიმაღლეს ხმა ქართველმა მეცნიერებმა ვახტანგ კოტეტიშვილმა, ი. კაჭარავამ, ალ. კალანდაძემ, ი. ბოცვაძემ, მ. დუდუჩავამ, გ. მეგრელიშვილმა, მ. გაფრინდაშვილმა, ა. ბაქრაძემ, ა. იოსელიანმა, ა. მახარაძემ, ვ. სიფრაშვილმა, გ. თოდუამ, ა. გაჩეჩილაძემ... მათს გამოკვლევებში XIX საუკუნის მეორე ნახევარი აღიარებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის დიდ ეპოქად, ილია ჭავჭავაძე კი ამ მოძრაობის მესვეურად. ამ საერთო მართებული შეფასების ფონზე ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის კლასობრივი ბუნების ახსნაში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თვალსაზრისი: მკვლევართა ერთმა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძე მიიჩნია რუსული რევოლუციური დემოკრატიზმის წარმომადგენლად და გლეხობის (წვრილი ბურჟუაზიის) იდეოლოგად. მეორე ჯგუფის აზრით, ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური აზროვნება აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიად უნდა მივიჩნიოთო. მესამე ჯგუფი ილიას სააზროვნო დონეს ქართული განმანათლებლობის ჩარჩოებით ფარგლავს და მის საერთო დემოკრატიზმს ერთი რომელიმე კლასის ინტერესებზე მაღლა აყენებს და საერთო-ეროვნულ ხასიათს ანიჭებს. აქ საშუალება არა გვაქვს ამ თვალსაზრისთა მეცნიერული ობიექტურობა შევაფასოთ. თითოეულის დასასაბუთებლად თუ უკუსაგდებად ბევრი რამ დაიწერა და კვლავაც დაიწერება. თუმცა ილიას მემკვიდრეობის შეფასებაში გიგანტური ნაბიჯი გადაიდგა წინ, მაგრამ ბევრი რამ კვლავ გასარკვევია და დასაზუსტებელი. მთავარი ნაკლი მაინც ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის როლისა და ადგილის განსაზღვრა ქართულ ისტორიოგრაფიაში ორგანულად ვერ არის დაკავშირებული იმ დიდ ამოცანასთან, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იდგა. ამ მოძრაობის მთლიანობაში შეუსწავლელად კი ვერ მოხერხდება იმ ამაგის სრულყოფილად წარმოჩენა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დიდმა სამოციანელებმა და მათმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ დასდეს. 60-80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში უდავოდ წარმოადგენდა განშტოებას იმ განმათავისუფლებელი ბრძოლისა, რომელსაც რუსეთის მშრომელი მასები ეწეოდნენ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ მას თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებანი ჰქონდა. ეს სპეციფიკა ქვეყნის კოლონიური მდგომარეობით იყო განპირობებული. თუ ქართული ცხოვრების სპეციფიკას გავითვალისწინებთ, სხვაგვარად წარმოიდგინება ქართული განმანათლებლობაც, ქართული რევოლუციური დემოკრატიზმიც. ერთი რამ კი უდავოა: ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები, როგორც განმანათლებლები, „მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ“. ამ მოძრაობის სპეციფიკის გათვალისწინებისათვის ასევე ყურადსაღებია ფ. ენგელსის მითითება იმის თაობაზე, რომ, ვიდრე სიცოცხლისუნარიანი ხალხი უცხოელი დამპყრობლის მიერ არის შებორკილი, იგი აუცილებლობის კარნახით წარმართავს მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, ენერგიას საგარეო მტრის წინააღმდეგ, და სანამ მისი საშინაო ცხოვრება პარალიზებულია, მას არ შეუძლია ებრძოლოს სოციალური თავისუფლებისათვის“.

**ილიას ფენომენი იმდენად ღრმაა და ისე სიხლხლორცეულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიულ ბედ-ილბალთან, რომ მისი უფრო ღრმად შესწავლა და ჭეროვანი დაფასება კვლავ მომავლის ამოცანაა.** რამდენიც უნდა დაიწეროს ამ დიდი მოძღვრის უკიდეგანო შემოქმედებაზე, მკვლევარი, თუ საამისო ძალა და უნარი შესწევს, ყოველთვის იპოვის მასში ახალს, ამაღლებულს, ჩვენს თანამედროვეობასთან დაკავშირებულ განძს, ჩვენი ეროვნული კულტურის უკვდავ ღირებულებებს.

**აკაკი სურგულაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

# ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲮᲕᲐᲚ

◆ ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

**ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲨᲘᲚᲐᲚᲔᲑᲘ“ („ᲩᲐᲜᲩᲘᲚᲔᲠᲘ“) ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲛ Ვ. ᲝᲩᲘᲠᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ**

## ᲘᲚᲘᲐᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

**ᲛᲝᲙᲚᲔ** აზერბაიჯანის კახის რაიონის ალიბეგლოს კულტურის სახლში ჩატარებულ ამ გაკვეთილებს, რომლებსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კრიტიკოსი კობა იმედაშვილი და პროფესორი გურამ შარაძე უძღვებოდნენ, არა მარტო მოსწავლეები, რაიონის მთელი საზოგადოებრიობაც დაინტერესა.

„ივერიის“ რედაქტორი, რომლის მახვილ მზერას ერის არც ერი ერთი წყალული არ გამოჰპარვია, ნიადაგ დიდად ზრუნავდა საინგილოსათვის და მისი სამერმისო სურვილიც ნათლად არის გაცხადებული მისსავე სტატიებში: „მინდა თქვენს შვილებს მივმართო, რომ ყველანაირად შეუფწყობთ ხელს დიმიტრი და მოსე ჯანშვილებისთანაც შვილებისა და შვილთაშვილების გამოზრდას“...

ალიბეგლოს, კახინგილოს, ქოთაქლოს, ალათემურის, კახისთავისა და სხვა სკოლების წარმომადგენლებს სანუკვარად გადაეცათ ილიას თხზულებები.

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ Გ. ᲭᲐᲜᲩᲮᲘᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲓᲐᲡᲙᲝᲜᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲠᲩᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲮᲣᲗᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲘᲗ.**

## ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ

● **ᲮᲣᲗᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ** პირველ ორ ტომში შეეიდა ილია ჭავჭავაძის ყველა მხატვრული თხზულება. მესამე ტომი მთლიანად ლიტერატურასა და ხელოვნებაზე წერილებს ეთმობა; აქვეა ფელეტონები, დაუმთავრებელი წერილები და ნაწყვეტები. მეოთხე ტომში პუბლიცისტური წერილებია. მეხუთე ტომიც პუბლიცისტური წერილებს ეთმობა და მწერლის ავტობიოგრაფიასაც აქვე ვეცნობით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ალრეთვე შინაურ მიმოხილვებს სათაურით „საქართველოს მატიანე“.

● **დიდი ილიას** საიუბილეო თარიღსვე მიეძღვნა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული მწერლის რჩეული (50 ათასი ტირაჟით), რომელიც უკვე მიიღო მკითხველმა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიით, აგრეთვე 50-ათასიანი ტირაჟით გამოცემული ილიას რჩეული თხზულებანი და მისივე თხზულებანი ქართული პროზის ბიბლიოთეკის სერიით (100 ათასი ეგზემპლარი).

● მწერლის ოცტომეულის პირველი ორი ტომი, რომელსაც 80-ათასიანი ტირაჟით ერთობლივად სცემენ „საბჭოთა საქართველო“ და „მეცნიერება“ (იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა), მკითხველს ხელთ ექნება საიუბილეოდ.



# ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲑᲐ

## ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ,** ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში 1903 წლამდე არ ყოფილა, მაგრამ ამ შესანიშნავ მხარეს მან ჯერ კიდევ 1859 წელს ასეთი სტრიქონები უძღვ

# ხელოვნება, სულს და გულს რომ ახარებს

**თვალსა და გულს ახარებს, ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს ლამაზად გაფორმებული საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ანსამბლები, ინტერიერები, ავეჯი, ყოველდღიურად სახმარი ნივთები. ამ კეთილშობილ საქმეს მხატვარ-დიზაინერი ემსახურება. დიზაინის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ჩვენს პირობებში, ამიტომ დიზაინერთა საქმიანობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის უფრო მეტი ზრუნვის საგანი გახდა — ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა სსრ კავშირის დიზაინერთა კავშირი. ხვალ კი თბილისში იხსნება საქართველოს სსრ დიზაინერთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა.**

**„კომუნისტის“ კორესპონდენტის თხოვნით რესპუბლიკაში დიზაინის დღევანდელ და სამომავლო ამოცანებზე გვესაუბრება სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების laureატი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზურაბ წერეთელი:**

— ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფერმწერის დიპლომით დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია და მუშაობა დავიწყე საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სამუდამოდ დამახსომდა ეთნოგრაფიული ექსპედიციები რესპუბლიკის დაშორებულ, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, სადაც ძველი ხალხური კულტურის, ყოფისა და ხელოვნების შესწავლაში ვმონაწილეობდი, ხელოვნება ხომ განუყოფელია მიწის მუშის, მესაქონლისა თუ მონადირის შრომისაგან. ძველებურ ქვითკირის სახლში ნივთების სიუხვე არ არის: კერა, აკვანი, ფილთაქვა, ნაჯა, თიხისა და ხის ჭურჭელი, მოჩუქურთმებული ავეჯი, ფრად-ფერადი თექა, ფარდაგი, ზოგჯერ — ბაზმა შებოლილი ხატის წინ, მაგრამ ყოველივე ეს რადენ ჰარმონიული და გამომხატველია, როგორ არის დაკავშირებული სოფლელი კაცის ყოფა-ცხოვრებასთან, როგორ ეხმიანება მამაკაცის ჩაცმულობასა და ქალთა სამკაულებს; ეს ყოფა საუკუნეობით ყალიბდებოდა. მთიელები თავს არ იტკივებდნენ მხატვრულ ეფექტზე ფიქრით, მაგრამ თავიანთ სამყაროს ეკუმარიტად არა მარტო სარგებლობის თვალსაზრისით აგებდნენ, არამედ, როგორც მარქსი ამბობს, „მშვენიერების კანონების მიხედვითაც“.

უნებურად მაგონდებოდა სისადავისა და სილამაზის ეს საოცარი სამყარო, მაგონდებოდა, როგორ ვეზიარე მას, როცა ვუსმენდი საბჭოთა კავშირის დიზაინერთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს. ვფიქრობდი: ბოლო წლებში ხალხი გაცილებით უფრო შეძლებულად ცხოვრობს, ჩვენს ყოფაში სულ უფრო იჭრება ტექნიკის მიღწევები, ელექტრონიკა, ბინები გაჭედილია მაქნისი თუ უმაქნისი ნივთებით, მაგრამ რა იშვიათად ნახავთ, რომ ეს ნივთები მხატვრულ ერთიანობას ქმნიდნენ: ყოფა და ცხოვრება სწრაფად იცვლება, მილიონობით ადამიანი გადასახლდა შორეული სოფლებიდან ქალაქებში, მათ შორის ახალ ქალაქებშიც, რომლებსაც მკვიდრი კულტურული ტრადიციები არ გააჩნიათ. მიმდინარეობს ადამიანთა უდიდესი მასების აღზრდის რთული სოციალური პროცესები, მათი შეგუება და „მომარჯვება“ ახალი პირობებისადმი, და ეს პროცესები უმტკივნეულო როდია. დღეს უკვე აშკარად ვლინდება არა მარტო მიღწევები, არამედ დანაკარგებიც. ჩემი აზრით, აქ საბჭოთა ხელოვნებას ჯერ კიდევ არ გამოუვლენია თავისი აღმშრდელობითი, მასების აღმზვავებელი როლი, რომელზეც ამ ხელოვნების პირველი მერცხლები ოცნებობდნენ.

ყოფა-ცხოვრების ესთეტიკური დახვეწის, მასობრივი სამრეწველო წარმოების საგნების ჰუმანიზაციის იდეებს, როგორც ცნობილია, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უკვე პროფესიონალი მხატვარი ვიყავი, როცა შევიტყვე, რომ თბილისელი მხატვრები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ეძებდნენ ქართველი ერის მხატვრულ ტრადიციებთან ახალი ტექნიკური მიღწევების შერწყმის გზებს.

როცა გარეგნის ჰარმონიისა და მხატვრული მთლიანობის საკითხებზე ვლაპარაკობ, ცხადია, სრულიადაც არ მოვითხოვ გლეხური ყოფის ატმოსფეროს აღდგენას, მით უმეტეს, ადამიანის გარემოცველი საგნობრივი სამყაროს მშრალ დაპროგრამებას, ერთფეროვნებას, მექანიკურობას, ფორმების მოჩვენებითს ლაკონიზმს, რომელიც იდეალად მიიჩნდა 50-60-იანი წლების ზოგიერთ თეორეტიკოსს. მე მზამზარეული რეცეპტები არა მაქვს და არც მწამს ზოგიერთი პროგნოზის რეალურობა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავლის გარემო მდიდარი უნდა იყოს იდეებით, ფორმებით, ასოციაციებით, მრავალფეროვანი, იქნებ შერწყმული, სხვადასხვა ეთნოკულტურული და სტილობრივი სათავეებით. იგი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა დროისა და ხალხის შემოქმედებას, მაგრამ უფლება არა აქვს დაქვეითდეს მეშჩანობამდე, რაზეც გვაფრთხილებდა კიდეც ლენინი. მოხმარების საგნების ხარისხი, გემოვნებითი მახასიათებლები უზადო, სრულიად თანამედროვე უნდა იყოს და ამავე დროს ეურდნობოდეს ხალხური ხელოვნების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, ინარჩუნებდეს ადგილობრივ და ეროვნულ ნიშნებს.

ოდნავადაც არ ვაკნინებ არქიტექტურის როლს, რომელსაც მეოთხედ საუკუნეზე მეტია ვემსახური, არც ჩემთვის მშობლიურ სახვითს ხელოვნებას, მაგრამ აქ, მეგონია, განსაკუთრებული როლი განეკუთვნება დიზაინს, რომელიც არა მარტო ამთლიანებს და შთამაგონებელს ხდის საგნობრივ სამყაროს, არამედ უშუალოდაც მონაწილეობს მის შექმნაში.

დიზაინის როლი განსაკუთრებით იზრდება ჩვენს დღეებში, როცა გარდაქმნის პროცესში პარტია დიდმნიშვნელოვან და ურთიერთშემავსებ ამოცანებს გვესაბავს, როცა მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალური ცხოვრება და ამაღლდეს კულტურული დონე, კარდინალურად დაიხვეწოს პროდუქციის ხარისხი და მივაღწიოთ სამეულო სამომხმარებლო საქონლის მიმზიდველობას.

**სვალ თბილისში იხსნება საქართველოს სსრ დიზაინერთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა**

მემოდელე არა ვარ, მაგრამ როგორც მხატვარს გული მაკივა ხოლმე, როცა ახალგაზრდები აცხადებენ, საბჭოთა მრეწველობას, იმის უნარი არ შესწევს, ლამაზად და მოდურად ჩაგვაცვაოს, და ამიტომ უცხოურ ნივთებს ეტანებიან, მიუხედავად იმისა, რომ ძვირი და ძნელად საშოვნელია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს სიმართლეა.

უნდა შევიგნოთ, რომ წარმოებაში მხატვრის ღირსეული — ნამდვილად წამყვანი ადგილი მისი პრეტენზია და ჭირვეულობა კი არ არის, არამედ მწვავე სოციალური აუცილებლობაა, დღევანდელი მომენტის ზოგზოგისთვის ჯერ გაუგებარი კანონზომიერებაა, გარდაქმნის გარდაუვალი და დიდმნიშვნელოვანი ელემენტია. დიზაინერი კი არ „აფორმებს“ ნივთს, არამედ უშუალოდ მონაწილეობს მისი ფუნქციური და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებაში. საჭიროა დაპროექტებასთან და მრეწველობასთან დიზაინერის ურთიერთობის ახალი ფორმების ძიება. ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას იურიდიული პირის უფლებების მქონე დიზაინერთა კოოპერატივები, რომლებიც ხელშეკრულებებს დადებენ საწარმოო გაერთიანებებთან და საპროექტო ინსტიტუტებთან და თვითონ იკისრებენ სრულ პასუხისმგებლობას თავიანთი პროდუქციისათვის, ამასთანავე კონტროლს გაუწევენ მის დანერგვასა და გავრცელებას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შემოქმედები მიხვდებიან, რაოდენ მნიშვნელოვანია და რა ხასიათისაა დიზაინის (და მათი საკუთარი!) ამოცანები.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს დიზაინერთა ნამუშევრების, სწორედ რომ, როგორც მხატვრული პროდუქციის დანერგვას, რომლის გამრავლების დროსაც ორიგინალისა და ასლის იდენტურობა. უპირველესი მოთხოვნაა. იმასაც ვიტყვი, რომ აქ დიზაინერთა მოთხოვნა მთლიანად ემთხვევა ვაჭრობის მოთხოვნასაც. დიზაინერმა არა მარტო უნდა იცოდეს, როგორც ხშირად წერენ, „ტექნოლოგიის მოთხოვნები“, არამედ იმის უფლებაც ჰქონდეს, რომ მისი პროექტი გამიზნული იყოს წარმოების უმაღლესი ტექნიკური დონისათვის. ვაჭრობის მიერ დამტკიცებული ნიმუშის, მასობრივი წარმოების გზაზე დაუშვებელია მასალის, ფაქტურის, ფერისა თუ ტექნოლოგიის შეცვლა. ვიცი, ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს ეს მოთხოვნები ზედმეტობა ჰგონია, მაგრამ უამისოდ ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწევთ ვერც საშინაო და ვერც საგარეო ბაზარზე.

ვიმეორებ, მრავალი წელია ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობ არქიტექტორებთან, რომელთაგან ბევრი არამარტო ჩემი თანამოაზრე, არამედ მეგობარიც გახდა, და მაინც ვიტყვი, რა ტრაგიკულ შედეგამდე მიგვიყვანა შენობებისა და კომპლექსების მხატვრული გამომხატველობის უგულებელყოფამ (ლატაკი პლასტიკა, ფერები, სილუეტი, მოწყობილობა). არა არქიტექტურა, როგორც პროფესია, არამედ ჩვენი ქალაქების იერი: იგი ერთფეროვანია, მოსაწყენი, ქალაქებმა დაკარგეს თავისებურება, ხშირად მეორდება საცხოვრებელი კორპუსების, სკოლების, სპორტული მოედნების სახე, ახალგაზრდა კაცის, მით უფრო შემოქმედის დაკვირვებული თვალი კი მრავალფეროვან, ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს მოითხოვს. გულსაც საქმე სწყურია, მაგრამ ადმინისტრაციული ინსპექცია ძირშივე აღკვეთს ხოლმე ყოველგვარ „პროექტის დარღვევას“.

ახალი ამოცანები დაუსახა დიზაინერებს სკკპ XXVII ყრილობამ, სადაც არა მარტო სამართლიანად უსაყვედურეს ქალაქმშენებლობას, არამედ ისიც თქვა, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქალაქების, კერძოდ მოსკოვის ცენტრის სახეს. საცხოვრებელი მასივების გარემოს მხატვრული დახვეწის საჭიროება სახვითი ხელოვნების განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაშიც აღინიშნა.

დიზაინის პრობლემებზე სტატიებში ხშირად ეხვდებით მოწოდებებს ღრმად შეეისწავლოთ ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა სოციოლოგია, ერგონომიკა და თუ მასალათმცოდნეობა. რა თქმა უნდა, კარგი დიზაინერი მოვალეა გარკვეული ცოდნა ჰქონდეს ამ (და ბევრ სხვა) დარგებში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მის წარმატებას ეს არ განსაზღვრავს. იგი უწინარეს ყოვლისა, ნიჭიერი მხატვარი უნდა იყოს და ჰქონდეს ისეთი წმინდა მხატვრული ცოდნა, როგორიცაა ფორმათწარმოქმნა, ფერთმეტყველება, კომპოზიციის თეორია. ეშმაკრიტი მხატვრის შთაგონების გარეშე შეუძლებელია რაიმე საარგებლოს შექმნა, ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით. მით უმეტეს, ლამაზი სამრეწველო ნაკეთობისა, და სრულიად წარმოუდგენელია ჰარმონიული და ესთეტიკურად გამომხატველი გარემოს შექმნა.

მე თვითონ სხვადასხვა დიზაინზე ვმუშაობ პირველივე წლებიდან. სასტუმროების, საელჩოების, საკურორტო კომპლექსების, ადმინისტრაციული შენობების, სანატორიუმებისა და გამოფენების კომპლექსური გაფორმების პროცესში ინტერიერების შემუშავებისას მათი ფუნქციური დანიშნულების განსაზღვრით ვიწყებდი, ლითონისგან ვამზადებდი კარის სახელურებს და თვით საფერფლეებსაც, ვაპროექტებდი სანათურებს, ვხატავდი ოფიციანტებისა და შვეიცრების კოსტიუმების ესკიზებს. ცხადია, ამ კომპლექსებში შემქონდა წმინდა მხატვრული ნამუშევრები — პანოები, ვიტრაჟები, წვრილი პლასტიკა. ადლერში გავაკეთე სკულპტურულ-ფერადოვანი კომპოზიცია „მარჯანი“, აქვეა მოზაიკური ფერადოვანი აუზი, რომელსაც ბევრმა მიბაძა, ყოველივე ეს არსებითად ბავშვების სათამაშო მოედნის მოწყობილობაა.

განსაკუთრებული გულისყურით ვმუშაობ ჩემი მშობლიური ქალაქის — თბილისის გარემოს მხატვრული დახვეწისათვის: ბევრი მიფიქრია აზორბრივი პლასტიკური აქცენტების — ქალაქის კარიბჭეთა ორიენტირების განლაგებაზე და ხასიათზე, ეზოებში და დიდი საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებში აქტიურ ფერადოვან „ლაქებზე“, შემიდგენია პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობისა და გაფორმების, მცირე არქიტექტურული ფორმების განლაგების პროექტები.

„ქალაქის დიზაინი“ ჯერჯერობით ჩვენი პრაქტიკის სუსტი ადგილია. საერთოდ, ქალაქში მცირეა ვიზუალური ინფორმაციის მოცულობა. ესეცაა, ისეთმა ქალაქმა, როგორიც ჩვენი თბილისია, სათუთად უნდა შეინახოს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე, ეროვნული ხასიათი, მაგრამ ახალი შენგებლობის გარეშეც, ახალი დიზაინის ჩარევის გარეშეც ვერ იცხოვრებს იგი. იგი ნაცნობი და ახლობელი უნდა იყოს თავისი ყველა ეროვნების მცხოვრებლებისათვის, სხვა რესპუბლიკებიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის — ეს დიზაინერთა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანაა. ჰარმონიული და ესთეტიკურად სრულყოფილი გარემოს შექმნისათვის დიზაინერებმა სოციალური შეკვეთის შესრულების თავიანთი, ახალი პრინციპები და ხერხები უნდა ეძებონ.

დიზაინის სამყარო თითქმის უკიდეგანოა, მაგრამ სინამდვილეში მას გარკვეული, კონკრეტული სპეციფიკა აქვს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მხატვრული — მიზნობრივი თვალსაზრისით და მეთოდით — კონსტრუირება. მისი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაღალმხატვრული დონით და მხოლოდ მაშინ, თუ ნამდვილად დიდი ხელოვანნი მოჰკიდებენ ხელს. ვიმეორებთ, რომ დიზაინერთა კავშირი გამონახავს მხატვართა და არქიტექტორთა კავშირებთან ურთიერთობის, დიზაინერთა შრომისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭირო პირობების შექმნის რაციონალურ ფორმებს და ჭეშმარიტი შემოქმედებითი, პროფესიონალთა მაორგანიზებელი ცენტრი გახდება.

## ძველქართული ფერადოვანი ფიგურალური ფიქალი

**უაზბეგების რაიონის ხუთი კოლმეურნეობის ახობით მშრომელი შეიკრიბა გასულ კვირას სოფელ სნოში, მწყემსის ტრადიციულ დღესასწაულზე.**

**საუკეთესო მწყემსებს საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. აქვე, ღია ცის ქვეშ გაიმართა სპორტული ასპარეზობანი და მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.**

**შეჯამეს რა მუშაობის შედეგები, რაიონის მწყემსებმა იმაზეც იმსჯელეს, თუ რა გაკეთონ მომავალი გამოზამთრებისათვის. და აი, მათ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს დიადი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად.**

**სურათებზე: დღესასწაულის დროს.**

**ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

**უკბაბანი**

## გერმან ზონინი:

# დიდი მუშაობა მოგვიწევს

**როგორც გუშინ გაუწყეთ, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა. დინამოელებთან სამუშაოდ მოწვეულია ცნობილი საბჭოთა მწვრთნელი გერმან ზონინი. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მან მისცა საქინფორმის კორესპონდენტს შ. შალოლაშვილს.**

**◎ რა მოვალეობა იკისრეთ გუნდში? — კითხეთ გერმან ზონინს, რომელიც მოუცლელობის მიუხედავად, ხალისით დაგვთანხმდა პასუხი გაეცა უურნალისტთა შეკითხვებზე.**

— ამიერიდან „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ვარ, — თქვა მან. — დაშებარებიან სპორტის დამსახურებული ოსტატე, ვლადიმერ გუცაევი და მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი, რომელიც უკვე მუშაობდა გუნდში. ჩვენთან ერთად იმუშავებს კახი ასათიანიც, რომელიც დავიყოლიე სეზონის ბოლოდან „დინამოში“.

**◎ თქვენ „დინამოში“ გუნდისათვის ძალიან მძიმე დროს მოხვედით. ალბათ, ეს გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული.**

— სანამ დავთანხმდებოდი სათაოში ჩავდგომოდი თქვენს გუნდს, კარგად ვფონ-დავფონე როგორც ჩემი, ისე დინამოელთა შესაძლებლობები. რაკი ამ თანამდებობაზე დამნიშნეს, ესე იგი მენდობიან. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ მარტო მწვრთნელი ვერ გაართმევს თავს იმ რთული ამოცანის შესრულებას, რომელიც გუნდის წინაშე დგას. მხარდაჭერას ველი თვით ფეხბურთელებისაგან, მხოლოდ ყველანი ერთად თუ გადავნახავთ გამოსავალს რთული მდგომარეობიდან.

**◎ წლევანდელმა სეზონმა ცხადყო, რომ გუნდში ბევრი პრობლემაა. როგორ ფიქრობთ მათ გადაჭრაზე?**

— მე მგონია, დინამოელები ფსიქოლოგიურად წელში გატეხა ხანგრძლივმა მარცხმა. ახლა მთავარია ნებისყოფა გამოიჩინონ, კვლავ ირწმუნონ საკუთარი ძალა. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თბილისელი ფეხბურთელი ინდივიდუალური მონაცემებით სხვებს, მათ შორის ქვეყნის წამყვანი კლუბების მოთამაშეებს არ ჩამოუვარდება. რაც შეეხება მთელ სრულფასოვანი კოლექტივის შეკრას, ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. უნდა დავხვეწოთ ფიზიკური მომზადება, აგრეთვე კარგად მოვიფიქროთ და ხერხი შევასხათ მოედანზე თამაშის ტაქტიკური ნახაზს. სწორედ ეს მიმაჩნია დღეს გუნდის ყველაზე მტკივნეულ ადგილად.

**◎ როგორ ჩაიარა თქვენმა გაცნობამ „დინამოსთან“?**

— ამ გუნდს ყოველთვის განსაკუთრებული სიმპათიით ვადევნებდი თვალს და მრავალი თაობის მოთამაშეებს ვიცნობ. ქართულმა ფეხბურთმა ხომ შეუძლებელია არ მოგვეხმაროს თავისი სილამაზით, დახვეწილობით, იმპროვიზაციით, ემოციურობით. ვიცნობ ახლანდელი შემადგენლობის ზოგიერთ ფეხბურთელსაც. შეხვედრა, რომელიც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა, გულახდილად მომდინარეობდა, და უნდა ვთქვა, რომ ბევრ საკითხში თანამოაზრენი გამომიჩნდნენ. ეს კი რწმენას მმატებს.

**◎ ქართველი გულშემატკივარი დაიჯერა თავისი საყვარელი გუნდის წარმატების ლოდინში. რას ეტყოდით იმათ, ვისაც სწამს „დინამოსი“?**

— ფეხბურთი უგულშემატკივროდ არ არსებობს. ტრიბუნებზე ხალხი დიდი მხარდაჭერაა ჩვენთვის. ჩვენი გუნდის ერთგულები უნდა ვიყოთ მისთვის ყველაზე მძიმე დროსაც კი. მოდით, გავიხსენოთ **კიევის „დინამოს“, ფენერეცის „შახტიორის“ ახლანდელი „ჩავარდნები“.** სატურნირო ცხრილში რომელ ადგილზეც უნდა ყოფილიყვნენ, მაყურებელი ყოველთვის მხარში ედგა გუნდს. ქართველ ფეხბურთის მოყვარულთ ჩემი ქათინაური არ ესჩიოდეთ. არაერთხელ აღნიშნულა მათი ობიექტურობა და კომპეტენტურობა. იმედი გვაქვს, ჩემპიონატის ფინიშზე, როცა რადენიმე პასუხსაგები მატჩის გამართვა მოგვიწევს, თბილისელი გულშემატკივარი კვლავ დაამტკიცებს, რომ საყვარელი კლუბის ერთგულია.

**◎ გუნდს ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს არა მარტო ქვეყნის ჩემპიონატში, არამედ ევროპის პრესტიჟულ საკლუბო ტურნირშიც. როგორ აფასებთ დინამოელთა პერსპექტივებს სოფიის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში?**

— საქმე ეხება არა მარტო ქართველი, არამედ მთელი საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟს. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, როცა ჩვენი გუნდები, რომლებიც არცთუ ისე წარმატებით გამოდიოდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატში, მთელ ძალებს იკრებდნენ საერთაშორისო შეხვედრების დროს და ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ სახელმოხვეჭილ კლუბებს. მეტოქე სერიოზული გვყავს. მაგრამ მგონია, რომ თბილისელებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი საუკეთესო თვისებები და გულშემატკივარი კარგი თამაშით გაახარონ.

**თეატრალური სეზონის წინ**

# ამჯერად ქართული მეტია

**5 სექტემბერს „მიფე ლირით“ იწყებს ახალ სეზონს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. სწორედ ამ თემაზე საუბრობენ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რობერტ სტურუა და „კომუნისტის“ კორესპონდენტი ვ. მარდალეიშვილი.**

— თქვენ, მგონი, სეზონის გახსნას არც ესწრებით, მოსკოვში მიდისო?...

— ვეღარ გადავწყვიტე, ცოტა შეუძლოდ შევიქენი, ისე, ამ დღეებში აუცილებლად უნდა წავიდე, მელოდებიან...

— რა ხდება იქ?

— ვახტანგოვის სახელობის თეატრში ვმუშაობ მიხეილ შატროვის პიესაზე „ბრესტის ზავი“, უფრო სწორედ, ჩემთან ერთად მთელი „ქართული ჯგუფი“ მუშაობს — გია ყანჩელი, გოგი ალექსი-მესხიშვილი და გოგი ალექსიძე. სპექტაკლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავს ეძღვნება. განზრახული გვაქვს მოსკოვის შემდეგ ეს პიესა რუსთაველის თეატრშიც დავდგათ.

— თქვენ ერთხელ უკვე შეხვედით შატროვს — მისი პიესა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ ამ შვიდი წლის წინათ დადგით რუსთაველის თეატრში...

— სწორი ბრძანდებით, შატროვის ნაწარმოებები ყოველთვის საინტერესოა იმით, რომ გვიფართოებს ცოდნას ისტორიის დრამატული კოლიზიების შესახებ.

ეს ნაწარმოები ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთ კრიზისულ მომენტს ასახავს.

— რამდენადაც ვიცი, ამ პიესამ დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მოიპოვა სასცენო ცხოვრების უფლება...

— მეოთხედი საუკუნეა ელოდება რამპის ჩირაღდნებს...

— მთავარ როლებში ვინ არიან?

— მიხეილ ულიანოვი ასრულებს ლენინის როლს, ვასილ სანაკოევი ტროცკის თამაშობს, ანდრია ფილიპენკო — ბუხარინს...

— რა სასიამოვნოა, რომ ასეთი ნაწარმოებები წლობით აღარ იდება თაროზე.

— მაშ... აი, ჩვენ უკვე ამ სეზონში გრიგოლ რობაქიძის „ლამარაც“ გვაქვს გეგმაში...

— კიდევ რას ფიქრობთ?

— ათ ოქტომბრამდე ვაჟაფშაველას „მოკვეთილი“ უნდა ვუჩვენოთ მაყურებელს, იგი ავთანდილ ვარსიმაშვილმა დადგა. ემუშაობთ ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ თამაზ გოდერძიშვილის პიესაზე, მასში მთელი დასი იქნება დასაქმებული; რეჟისორი გია ანთაძე დგამს ანალგაზრდა დრამატურგის ირაკლი სამსონაძის პიესას „ბედნიერი ბილეთი“, ხოლო რუსულად სიხარულიძე — ვლადიმერ სიხარულიძის პიესას „სახლი ქალაქის განაპირას“, ალბათ თებერვალში წარმოვადგენთ ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“, ვფიქრობთ, დავდგამ რევაზ მიშველაძის ახალი პიესა...

— თქვენ თითქმის მთლიანად, ქართული დრამატურგია დაასახელეთ, მგონი გაჭრა კრიტიკამ: რუსთაველის თეატრი ეროვნულ დრამატურგიას არ სწყალობს.

— რუსთაველის თეატრს კარგ ქართულ პიესაზე უარი არასოდეს უთქვამს, პირიქით...

— ცნობილია, რომ ქვეყნის მრავალ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად იანვრიდან თქვენც ჩაებმებით ექსპერიმენტში. რას ფიქრობთ ამაზე?

— ბიუროკრატიზმი წლების მანძილზე ხელს უშლიდა ჭეშმარიტი ხელოვნების წარმატებით გაჭვითარებას. მე მგონია, ექსპერიმენტის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი უფლებას გვაძლევს უფრო ზეტი დამოუკიდებლობით გადავწყვიტოთ ისეთი საკითხები, რომელთა განხორციელება წინათ შეუძლებელი იყო ზემდგომ ორგანოებთან შეუთანხმებლად. ექსპერიმენტი თავისუფლებას გვანიჭებს ბევრ რამეში, მათ შორის — რეპერტუარის შედგენაში, ფინანსური პრობლემების გადაჭრაში, არ გვბოჭავს გეგმით. ყოველივე ეს კი აუცილებლად დაეტყობა სპექტაკლების იდეურ-მხატვრულ დონეს.

— არგენტინის შემდეგ ახალ სეზონში საით გიჭირავთ თვალი?

— კონკრეტულად ჯერ არ გადაგვწყვეტია; ისე, ბევრი ქვეყანა გვეპატიჟება საგასტროლოდ...

— კვლავაც სახელით გეკითხოთ!

— გმადლობთ!..

# გუშინ, დღეს, ხვალ

**ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი**

**დღითი დღე ღონიერდება საქართველოს კულტურის ფონდი, რომელსაც ბევრმა ქველმოქმედმა უკვე გადასცა პირადი შეწირულობანი. ამასთან, ფონდის ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა კვლავ და კვლავ გრძელდება.**

## კულტურის ფონდის მისამართი

● სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ფონდს უკვე გამოუყო 50 კვადრატული მეტრი ფართობი რკინიგზის სადგურის მოედნის მიწისქვეშა სივრცეში საფრმო სალონ-მაღაზიის მოსაწყობად და აეროპორტის დასახლებაში №19 მარაკიც მასვე დაუთმო გაფორმებითი სამუშაოების ექსპერიმენტული საწარმოო კომბინატის საჭიროებისათვის.

ასევე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი ლილოში ფონდის ხალხური მხატვრული რეწვის, სუვენირებისა და შინწარმის გამოყენების საწარმოო კომბინატისათვის სათავსების ასაშენებლად.

მაგრამ ჯერჯერობით გადასაწყვეტია კულტურის ფონდის საინფორმაციო გრაფიკისა და მხატვრული ფოტოგრაფიის ლაბორატორიისათვის ადგილსამყოფელის გამოყოფის, ლესელიძის ქუჩაზე სალონ-მაღაზიისათვის საჭირო ფართობის, რესპუბლიკის მოედნის ქვეშ და ლენინის ქუჩაზე კულტურის ფონდის ობიექტებისათვის სათავსების გამოყოფის საკითხი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი საკუთარი სახსრებით, მასალითა და ძალებით უკვე არემონტებს ფონდის რეზიდენციას რუსთაველის პროსპექტზე.

## ზნეობრივი მაგალითი

● კვლავ მატულობს პირადი შენაწირები.

ახლახან თბილისელმა **თამაზ რობიტაშვილმა** ფონდს ასზე მეტი დასახელების რევოლუციამდე გამოცემული ქართული წიგნი და ჟურნალი შემოსწირა და ახლა მათი აღწერა-დახარისხება მიმდინარეობს.

ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კულტურის ფონდის სპეციალიზებულ (ქართული წიგნისა და ჟურნალების რევოლუციამდელი გამოცემების) წიგნსაცავს.

**„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა ლ. ბახარიამ.**

# როგორ მოიწყობა პრეტენდენტთა ასპარეზობა?

**ვაუთა** სამიეე საზონათშორისო ტურნირი დამთავრდა. როგორ გაგრძელდება ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის? აი, როგორ უპასუხეს ამ კითხვას ფიდეს გენერალური მდივანი, პროფესორი ლევ კოკ ანი (სინგაპური). — ამ შეჯიბრების მოწყობა ფიდემ კანადის ჭადრაკის ფედერაციას დაავალა, კანადელებმა კი ქალაქი სენტ-ჯონსი ამოირჩიეს. მასპინძლებს პრეტენდენტების ასპარეზობის მოწყობა ჩვეულებრივი, წრიული სისტემით სურდათ, როგორც ორი წლის წინ იყო. დიდოსტატების ასოციაციამ, რომლის პრეზიდენტიც მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვია, სხვაგვარად ისურვა და ფიდემაც გაითვალისწინა მისი პოზიცია. გადაწყდა, წრიული სისტემა მატჩებით შეიცვალოს.

საზონათშორისო ტურნირებმა 9 გამარჯვებული გამოავლინეს. მათ დაემატება დიდოსტატი კეკვინ სპრანგეტი, როგორც მასპინძელი. პრეტენდენტთა წინა ციკლიდან ახლანდელში დაუშვეს მაპინდელი ნახევარფინალური მატჩების 4 მონაწილე: დიდოსტატები ანდრია სოკოლოვი, არტურ იუსუპოვი, რაფაელ ვაჰანიანი (სამივე — საბჭოთა კავშირი) და იან ტიმანი (ჰოლანდია). ერთი სიტყვით, პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლება 14 დიდოსტატს მიენიჭა. მათ ავტორიტეტული კომისია შვიდ წყვილად გაანაწილებს და ისინი სენტ-ჯონსში მოკლე მატჩებს ითამაშებენ.

როცა პრეტენდენტთა ასპარეზობის ეს ეტაპი დამთავრდება, 7 გამარჯვებულს დაემატება კასპაროვ-კარპოვის მატჩში დამარცხებული. ეს 8 უძლიერესი დიდოსტატი ისევ მატჩებით, ოლიმპიური სისტემით გაგრძელებს ბრძოლას, სანამ არ გამოვლინდება მსოფლიო ჩემპიონის ერთადერთი მეტოქე. ახალი მატჩი მსოფლიო პირველობაზე კი, როგორც ცნობილია (სამწლიან ციკლზე გადასვლის შემდეგ), 1990 წელს უნდა გაიმართოს.

# თბილისში, ორი საგზურისათვის

**როგორც** ცნობილია, ქალთა თითოეული საზონათშორისო ტურნირიდან პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლებას სამი გამარჯვებული იღებდა. სმეფერევსკა-პალანკაში (იუგოსლავია) საგზური მხოლოდ მარტა ლატინსკაიამ მიიღო, მსოფლიო ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, დიდოსტატებმა ირინე ლევიტინამ და ელეშკა კლიმოვამ (ჩეხოსლოვაკია) კი II-IV ადგილები გაიანაწილეს. საჭირო გახდა მათ შორის დამატებითი შეჯიბრების ჩატარება პრეტენდენტთა ასპარეზობის კიდევ ორი მონაწილის გამოსავლენად.

მხარეების შეთანხმებით გაფრინდაშვილის, ლევიტინასა და კლიმოვას დამატებითი მატჩ-ტურნირი 7 სექტემბრიდან თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება. მეტოქეები ერთმანეთს სამ-სამ პარტიას ეთამაშებიან. შეჯიბრება 20 სექტემბრამდე გასტანს.

# სატურნირო ორბიტა

**რეგბი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური